ივლისი, 1938 წ. პარიზი. № 4 (83) Paris, Juillet 1938

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძოლის ხმა

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. ცენტრალური კომიტეტისა.

« L'ECHO DE LA LUTTE » — Revue mensuelle du Parti Social-Démocrate Ouvrier de Géorgie.

რედაქტორი კ. გვარჯალაძე. Directeur C. Gvardjaladzé.

შინაარსი: 1) კ. გ.—რუსული ტერმიდორი; 2) ევ. გეგეჭკორი—26 მაისის ირგვლივ; 3) სან-მანი—რუსეთის ჩაგრულ ერთა მოძრაობა; 4) ბ. არიძე—კომუნისტური არჩევნები; 5) ვალ.—რას სწერენ კომუნისტებზე? 6) წერილი რუსეთიდან; 7) ემ. ლ—ძე—წერილი ჩეხოსლოვაკიიდან; 8) ოტო ბაუერი; 9) ემიგრანტული პრესა; 10) ბიბლიოგრაფია.

## რ უ ს უ ლ ი ტ ე რ მ ი დ ო რ ი

ევროპიელების დიდი უმრავლესობისთვის საბჭოთა რუსეთი ჯერ კიდევ დიდ საიდუმლოებას წარმოადგენს და იქაური მდგომარეობის მას ბევრი არა გაეგება. საბჭოთა რუსეთი ევროპას თითქმის მოწყვეტილია. მოსკოვის ხელისუფლება ცდილობს რუსეთის შესახებ სრული სიმართლე გარეთ არავინ იცოდეს, არც ის უნდა, რომ შინ რუსეთის მცხოვრებნი ევროპის დღევანდელ ცხოვრებას სწავლობდენ და ეცნობოდენ. ბოლშევიკების სამეფოში ევროპიელებს აღარ აყენებენ, მათ ჯაშუშებათ აცხადებენ, იჭერენ, თუ ხვრეტენ. უცხო კორესპონდენტები, რომელნიც მათ შესახებ კარგ ცნობებს არ იძლევიან, მყისვე გაძევებული არიან. რუსეთში ჩასვლა მეტათ გაძნელებულია უბრალო ტურისტებისათვისაც კი, რომელნიც იქ ჩეკისტების ზედამხედველობით მოგზაურობენ; იქიდან აქეთ გამოსვლა საბჭოთა მცხოვრებლებისათვის ხომ პირდაპირ შეუძლებელია. მაგრამ მიუხედავათ ყოველივე ამისა, საბჭოთა პრესაც საკმაო მასალას იძლევა იქაური მდგომარეობის გასარკვევათ და დაკვირვებული მკითხველი ადვილათ რწმუნდება იმაში, რომ დღევანდელი რუსეთი დიდათ განსხვავდება ბოლშევიკების გუშინდელ რუსეთისაგან და მათ შორის საერთო ბევრი აღარაფერია.

ოქტომბრის რევოლიუციის მიზანი იყო ძალაუფლების ხელში ჩაგდება და ყველაზე უფრო ჩამორჩენილ და უკულტურო ქვეყანაში სოციალისტური რეჟიმის დამყარება. ფიქრობდენ რუსეთიდან ეს მოძრაობა სხვა ქვეყნებსაც მოედებოდა, ყოველგან ნაციონალური საზღვრების გარღვევა და წაშლა მოხდებოდა და მთელ მსოფლიოში სოციალისტური რევოლიუცია იფეთქებდა. ბოლშევიკებს მაშინ არაფერი ეროვნული და ნაციონალური არ სწამდათ და კოსმოპოლიტიზმის ტყვეობაში იმყოფებოდენ. აკი გორკი იმ ხანებში ლენინს სწერდა, რომ რუსის ხალხი სოციალისტური რევოლიუციის მხოლოთ ნაკელათ გამოდგებაო. ამ მიმართულებით ბრძოლა სოციალისტური რევოლიუციისათვის მთავარი იყო ბოლშევიკების ძველი თაობისათვის. ასეთ ბრძოლას აწარმოებდენ კომინტერნის თავმჯდომარე—ზინოვიევი და ბუხარინი, რომელნიც ევროპის პროლეტარიატს ასაჯანყებლათ ხშირი მოწოდებებით მიმართავდენ. მაგრამ ბოლშევიკების ასეთ მოწოდებებს მხოლოთ ის შედეგი მოყვა, რომ ევროპის ზოგ ქვეყნებში მუშათა კლასი სასტიკად დამარცხდა და იქ ყოველგან მკაცრი რეაქცია გაბატონდა.

დროსთან ერთად ბოლშევიკებმაც ფერი იცვალეს. წამოაყენეს მეოთე და საწინაალმდეგო კონცეპცია: რუსეთში სოციალიზმის დასამყარებლათ სრულიად არ იყო საჭირო და აუცილებელი ევროპაში სოციალისტური რევოლიუციის გამარჯვება. სოციალიზმის ერთ ქვეყანაში განხორციელება შესაძლებლათ იქნა აღიარებული. ამ მიზნით შემოიღეს ხუთწლიანი გეგმები და ყოვლათ მხეცური და ბარბაროსული მეთოდებით შეუდგენ ინდუსტრიალიზაციის და კოლექტივიზაციის ჩატარებას. მგზავსათ

ფაშისტური ქვეყნებისა დაადგენ ეკონომიური ნაციონალიზმის გზას და ავტარქიული სისტემა თავისათ გაიხადეს.

კოსმოპოლიტ ძველ ბოლშევიკებს არ მოსწონდათ სტალინის ერთ ქვეყანაში სოციალიზმის განხორციელების თეორია და ის რუს ნაციონალისტათ მონათლეს. ზომიერი და მემარჯვენე ძველი ბოლშევიკები კი კოლექტივიზაციას და ინდუსტრიალიზაციას რუსეთის პირობებში ფანტაზიათ და სიგიჟეთ სთვლიდენ და სტალინის ამ ხაზის წინააღმდეგ იბრძოდენ.

სტალინმა თავის არგუმენტებით ვერავინ დაარწმუნა; სამაგიეროთ მან ცბიერ და უსინიდისო ხერხს მიმართა. მოტყუილებით და თაღლითობით ის ხან მოწინააღმდეგეთა ერთ ჯგუფს დაუკავშირდებოდა და მას მოწინააღმდეგეთა მეორე ჯგუფს დაუპირდაპირებდა, ხან კი ამ მეორე ჯგუფს დაუახლოვდებოდა და პირველის წინააღმდეგ აამხედრებდა. ამ გზით სტალინმა თანდათანობით მუშაობის ასპარეზიდან განდევნა და თავიდან მოიცილა ჯერ ტროცკი, შემდეგ ზინოვიევ-კამენევი, რიკოვ-ბუხარინი და სხვა ცნობილი ძველი ბოლშევიკები. ბოლშევიკების ძველი გვარდია სტალინმა ტალახში ამოსვარა, მათ თავსლაფი გადაასხა, საყოველთაოდ სახელი გაუტეხა და მათ იდეალებს და რევოლიუციურ წარსულს გადააფურთხა. დაბოლოს მათ ორგანიზაციული და მორალური დამარცხებაც არ აკმარა და ყველანი ფიზიკურათ გაანადგურა.

ყველა ეს ძველი ბოლშევიკები გახდენ მსხვერპლი სწორედ იმ სისტემისა, რომელიც მათ სტალინთან ერთად ოქტომბრის დღეებში დაამყარეს.

ბოლშევიკების პარტიაში სამოქალაქო ომი გაჩაღდა, იქ სისხლი დაიღვარა. მოსპეს რა პარტიის დამაარსებელნი და ხელმძღვანელნი, სტალინი და მისი ამქრები ამით პარტიის მთელ ძველ თაობას დაუპირდაპირდენ და საბჭოთა ცხოვრების ყველა სფეროებიდან მის განდევნას შეუდგენ. მაგრამ ყველაფერს თავისი ლოღიკა აქვს და ესეც საკმარისი აღარ იქნა.

რუსი ტერმიდორიანებისათვის დადგა საკითხი თავიდან მოეშორებიათ, ან სავსებით მოესპოთ არა მხოლოდ პარტიის ძველი და ცნობილი ლიდერები და საერთოდ ბოლშევიკების მთელი ძველი თაობა, არამედ ყველა ისინიც, ვისაც როდისმე ამათთან უმსახურიათ, მათთან რაიმე კავშირი, თუგინდ უბრალო ნაცნობობა ჰქონიათ და ამიტომ, შეიძლება, მათ ერთნაირი ნდობით და პატივისცემით მოპყრობიათ.

კარიერისტობა, მლიქვნელობა, ტყუილი, ორპირობა, დაბეზღება, ამბიციები და თავმოყვარეობა გაიხადა სტალინმა ბრძოლის საშუალებებათ მოწინააღმდეგეთა დასაძლევათ და დასამარცხებლათ.

დაიწყო საყოველთაო წმენდა. არ დარჩენილა არც ერთი დაწესებულება, არც პარტიული, არც ადმინისტრატიული, არც ეკონომიური, არც კულტურული და არც სამხედრო, სადაც წმენდას ადგილი არ ქონოდეს. თუ სადმე კი იყო საქმის მცოდნე, სპეციალისტი, პატიოსანი და რიგიანი მუშაკი, ყველანი ეჭვის ქვეშ დააყენეს, განდევნეს, ან ფიზიკურათ მოსპეს.

ამათ ალაგას მოვიდა ახალი ხალხი, სტალინის ამალა, რომელსაც არც რაიმე რევოლიუციური სტაჟი და წარსული აქვს და არც საზოგადოებრივ ცხოვრებაში როდისმე რაიმე როლი უთამაშნია. ეს არის 25-35-40 წლის ახალგაზდობა. იშვიათად შეხვდებით მათ შორის 45 წლის მეტის მქონეთ. დიდი უმრავლესობა ამ ხალხისა პარტიაში შეყვანილია 1924 წლის შემდეგ და ეხლა თბილ და პასუხისმგებელ ადგილებზე დანიშნულია სტალინის და მისი ანტურაჟის მიერ.

სტალინის ეს რაზმი აღზდილია უაღრეს ნაციონალიზმის და დიქტატურის ატმოსფერაში. ამ ახალგაზდობას ხელისუფლება მუდამ ჩასჩიჩინებდა, რომ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ საომრათ მთელი ქვეყანა ემზადებოდა; თავდამსხმელები რუსეთს გაინაწილებდენ, დაიმონავებდენ და მთელ რუსეთის მოსახლეობას საშინელ პირობებში ჩააყენებდენ. ახალგაზდობას მუდმივათ აფრთხობდენ ხან გერმანიის, ხან იაპონიის და კიდევ ბევრ სხვების შემოსევის საშიშროებით. მას ასწავლიდენ სკოლებში, თუ მის გარეთ სამხედრო ხელოვნებას და ცდილობდენ მასში გაენვითარებიათ საომარი და გმირული თვისებები. თოფის სროლა, პარაშუტებიდან ყოჩაღად და მარდად გადმოხტომა საუკეთესო ხელობად ითვლებოდა და ითვლება. წინანდელ თაობებს ხელში სოციალისტური შინაარსის წიგნები ეჭირათ, ეს წიგნები კი ეხლა მაუზერებით შეიცვალა. ბოლშევიკების დღევანდელ სამეფოში სოციალიზმის და რევოლიუციის მცნება შელახეს და მას სახელი გაუტეხეს.

მოსკოვი დიდ კულტივაციას უკეთებს რუსულ დიდმყრობელურ აზრებს და გრძნობებს. რუსის ხალხი გამოცხადებულია საბჭოთა ერებთა შორის ყველაზე უფრო შრომის მოყვარეთ და თავდადებულათ, გმირულათ და ტალანტის მქონეთ, დაუღალავათ და გაბედულათ. ის არის «თანასწორთა» შორის პირველი და ამიტომ ხელმძღვანელი და წამყვანი როლიც მას ეკუთვნის. ამ ერის ენის ცოდნაც არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთათვისაც ეხლა სავალდებულო ხდება. თუ წინა წლებში მოკავშირე ეროვნულ რესპუბლიკებში რუსულ ენის შესწავლას დიდ ყურადღებას არ აქცევდენ და ხშირათ მასზე ლაპარაკიც არ შეეძლოთ, ეხლა კი ამ ენის საფუძვლიანი ცოდნა ყველასათვის მთავარი მოვალეობა არის და ამას დიდი დრო და შრომა ეწირება. რუსიფიკატორულ ტენდენციამ დიდათ იჩინა თავი და ის თანდათან ძლიერდება.

ასეთ შოვინისტურ ატმოსფერაში აღზდილი ახალი თაობა ეხლა ძველ კადრებს სცვლის და ძალაუფლებას ეპატრონება. და დღევანდელი რუსული ტერმიდორი ამ ხალხზე ეყრდნობა.

ამ ახალგაზდობას წლების განმავლობაში ელაპარაკებოდენ სტალინის გენიოსობაზე, მის დიდ კაცობაზე და მისდამი უსიტყვოთ დამორჩილებაზე. სტალინი გამოცხადებულია ერთად ერთ უცოდველ პირათ, რომელიც ყოველივე კრიტიკის და რაიმე საყვედურის გარეშე სდგას. ის არის ბატონი, როგორც კომუნისტური პარტიის, ისე საბჭოთა მთავრობისა, რომელთა ხელშია მოგროვილი მთელი ქვეყნის ეკონომიური რესურსების გამგებლობა და საერთოდ მთელი პოლიტიკური და ადმინისტრატიული მართველობა.

საბჭოთა რუსეთი ნამდვილი ტოტალური სახელმწიფოა.

ველიკოროსიის სატახტო ქალაქიდან—მოსკოვიდან საბჭოთა რუსეთის ყველა კუთხეებში ბრძანებები და დეკრეტები იგზავნება მათი დაუყონებლივ აღსასრულებლათ. ნაციონალისტური და შოვინისტური მოსკოვი ლამობს დაიმორჩილოს ეროვნული რესპუბლიკები, დაეპატრონოს მათ და მოახდინოს უდიდესი ცენტრალიზაცია. მაგრამ ყველაფერი ეს ამაო ცდაა.

რუსეთი წინეთ არასოდეს არ ყოფილა ცნობილი თავისი ეროვნული შეგნებით. და თუ ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში იქ წარმოიშვა და განვითარდა ძლიერი ნაციონალიზმი, საბჭოთა კავშირის ჩაგრულ ერთა ეროვნული შეგნება კი ასჯერ მეტათ გაიზარდა და წინ წავიდა. ჩაგვრამ, წამებამ ეს შეგნება მათში გააღრმავა და განამტკიცა. და რამდენათ ნაციონალისტური ახალი თაობის ველიკოროსია მოინდომებს ჩაგრულ ერების კიდევ უფრო მაგრათ არტახებით შეკვრას, იმდენათ მძლავრი და შეუპოვარი იქნება ამ ერების წინააღმდეგობა და ბრძოლა. არაფერს ნიშნავს ის, ვითომც ეს ერები დღეს სტალინს, მოლოტოვს და სხვებს ცეკვით და მხიარულებით აძლევდენ მათი ხმების 99 პროცენტს ეროვნულ უმაღლეს საბჭოების არჩევნებში.

რუსეთში ხდება რეჟიმის ცვლილება, რუსული ტერმიდორი სასტიკი რეაქციის სახით გვევლინება. «მომღერალი» და «ბედნიერი» ჩაგრული ერნი კი ჩუმათ უბეებში ქვებს იწყობენ და შესაფერის მომენტს ელიან.

პ. გ.

## 26 მაისის ირგვლივ

ცნობილი ამბავია, რომ პირად სათნოებაზე ყველაზე მეტს ის ყვირის, ვინც ამ მშვენიერ მანდილოსანს ყოველ ცისმარა დღე ღალატობს; მაღალ ზნეობის გაკვეთილებს სიტყვით ის იძლევა, ვინც საქმით ყოველნაირ მორალურ მოვალეობას გაურბის ვით გადამდებ სენს. ასეა კერძო ცხოვრებაში, იგივე სურათს ვხედავთ საზოგადო სფეროში.

ამის საუცხოვო ნიმუშს იძლევა ჟურნალი, რომელიც სხვა თვისებებთან ერთად იმითაცაა შესანიშნავი, რომ თუ არ ვცდები რიცხვში, შვიდ ენაზე გვევლინება. აი რას ვკითხულობთ მის რუსულ ვარიანტში.

«აზრთა შეხლა-შემოხლა წყაროა ჭეშმარიტებისა, იტყვიან ფრანგები. თქმულება ბრძნული და სამართლიანია,—მხოლოთ იმ პირობით, როცა საქმე გვაქვს იდეურ უთანხმოებასთან, როცა ორივე მხარე, სხვადასხვა აზრთა მატარებელნი, გამსჭვალულნი არიან სურვილით ერთმანეთი გაიგონ და გადაარწმუნონ; როდესაც ურთიერთის თუნდაც მინიმალური გულწრფელობა მაინც სჯერათ და ეკამათებიან იმას, რაც სინამდვილეში დასწერა მოწინააღმდეგემ და არა იმას, რასაც თვითონ ისინი მას მიუგდებენ... ჯანმრთელი პოლემიკა არა მარტო დასაშვებია, ის სასურველიცაა. მხოლოდ არის ერთგვარი საზღვარი, რომელსაც არც ერთი თავის პატივისმცემი ორგანო არ უნდა გადაცდეს; ეს ის საზღვარია, რომლის იქით დისკუსია მორალურათ შეუძლებელი და პრაქტიკულათ უაზროა. ამ საზღვარს დიდი ხანია გადასცდა ზოგიერთი ქართული ემიგრანტული ორგანოები, რომელთა ინსპირატორებია ქართველი მენშევიკები»...

რა რაინდული პოზა, რა საუცხოვო ჟესტები! მაგრამ შეგვიძლია ამ სიტყვებს ვენდოთ და ეჭვი არ შევიტანოთ მის ავტორის გულწრფელობაში? გვაძლევს თუ არა უფლებას მთელი მისი მოღვაწეობა ვიფიქროთ, რომ «სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი»?

რა აქვს საერთო ამ მაღალი სტილის ფრაზეოლოგიასთან იმ «ლიტერატურას», რომლითაც «კავკაზი» უმასპინძლდება თავის მოწინააღმდეგებს?

საინტერესოა, რომ სწორეთ იმავე ნომერში, სადაც მოყვანილი წერილის ავტორი ასე უხვათ აფრქვევს დარიგებას პოლემიკის კულტურულ მეთოდებზე, ლაფს ასხამენ არა მარტო ნ. ჟორდანიას და

მის პარტიას, არამედ დაკარგულ საფლავში არ ასვენებენ ბრძოლაში დაღუპულ გმირთ და საქართველოს ღირსებას, მის სახელმწიფოებრივ და კულტურულ ღირებულებას უცხოელთა თვალში სახელს უტეხენ.

აქ ჩვენ არაფერს არ ვამეტებთ, და თუ გნებავთ არც გვაკვირებს ასეთი გამოლაშქრება. როდესაც ადამიანს რომელიმე გრძნობა დაიმორჩილებს, მასში გონება გავლენას კარგავს. სიყვარული გრძნობათა მაღალ კატეგორიას ეკუთვნის, მხოლოთ გადამეტებული ისიც საშიშარია იმისათვის, ვინც მას ატარებს და ვისკენაც იგია მიმართული. არის ისეთი ჯიშის მაიმუნი, რომელიც ისე მაგრათ ჩაიკრავს თავის ნორჩ შვილს, რომ ზედ გულმკერდზე მიიხრჩობს.

სიყვარულის ანტიპოდი—მძულვარება რომ კარგი მრჩეველი ვერ იქნება, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია? თავშეუკავებელი სიძულვილი ბოროტების წყაროა; საღი მსჯელობა, ნიჭი და სხვა კიდევ ბევრი თვისებები იხრჩობა და იხრწნება მის მორევში.

მხოლოთ ამ უსაზღვრო მძულვარებით ნ. ჟორდანიას და მისი პარტიისადმი აიხსნება ყოვლათ უმართებულო ლანძღვა-გინებით აღსავსე წერილი «მათი ოცი წელი». 26 მაისი, საქართველოს ეროვნული დღესასწაული და მისი ოცი წლის თავი, თურმე ეს ჩვენი (ალბათ მენშევიკების) ოცი წელი ყოფილა. 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტი, ეს ჟორდანიას და მისი პარტიის საიუბილეიო ამბავია (ერთმა ახლათ მოვლენილმა პუბლიცისტმა მეორე ანტიმენშევიკურ გაზეთში ამ აქტს სამარცხვინო აქტიც უწოდა). მაშ, არიან ქართველები, რომელთაც თავი პატრიოტათ მოაქვთ და ამ ისტორიულ დატას არ სცნობენ.

შემდეგ, თურმე ჩვენი დაპყრობით «ერთი მენშევიკური რევოლიუციის კალაპოტიდგან საქართველო მეორე ბოლშევიკურ რევოლიუციის კალაპოტში» გადასულა. ასეთი რამ ჩვენ წინეთაც გვსმენია. ეს საქართველოს დამპყრობელთა მთავარი არგუმენტი გახლდათ. მოსკოვი ამით ამართლებდა საქართველოზე თავდასხმას.

აღვნიშნავთ აქვე, რომ წერილის ავტორი ამ უცნაურ განცხადებას ისეთ რამეს დასძენს, რაც სავსებით ეწინააღმდეგება მის პირველ დებულებას: ეროვნული შინაარსი ამ ცვლილების სულ სხვა იყოვო, მაგრამ «ეს ვერ გაიგეს ვერც ბოლშევიკებმა, ვერც მენშევიკებმა კატასტროფის შემდეგაც»-ო.

რატომ ეს ვერავის ვერ გაუგია, ამაზე კრინტი არ არის წერილში დაძრული.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მთელი ჩვენი ერის ისტორია დაპყრობის შემდეგ მოწმობს, რომ ორივე მხარემ—მოსკოვმა და საქართველომ ეს კარგათ გაიგეს. საქართველო ამ ცვლილების შემდეგ გახდა რუსეთის იმპერიის ნაწილი და მოსკოვი მაზე ბატონობს; მენშევიკები კი სხვა ეროვნულ ძალებთან ერთად ათასობით ეწირება მსხვერპლათ იმ ბრძოლას, რომელიც მიზნად ისახავს ამ «ცვლილების» შებრუნებას.

დავანებოთ ამას თავი. თუ «კავკაზი»-ს ქართველი თანამშრომელნი 26 მაისის გარეშე აყენებენ თავიანთ თავს, ეს ბოლოსა და ბოლოს მათი საქმეა. ჩვენ შეგვიძლია ერთხელ და სამუდამოთ ამ ფაქტს კონსტატაცია გავუკეთოთ და მისი დაფასება ისტორიას მივანდოთ.

უფრო საყურადღებოა გამოლაშქრების ის მხარე, რომელიც ჩვენი ეროვნული ღირსების საკითხს შეეხება. აქ ჩვენ ვალდებული ვართ საგანს მისი სახელი ვუწოდოთ: ასეთი გამოლაშქრება საზიზღარი ცილისწამებაა დამოუკიდებელ საქართველოს, მისი მთავრობის, მისი პარლამენტის წინააღმდეგ.

თუ მართლადაც 26 მაისის საქართველო ისეთი იყო, როგორც ამას აგვიწერს «მათი ოცი წლის» ავტორი, იგი მხოლოთ ზიზღის ღირსი ყოფილა და ვერც ერთი კულტურული ერი ასეთ ქვეყანას თავის სიმპატიას და თანაგრძნობას ვერ მიანიჭებს. ნათქვამია ყოველი ერი ღირსია იმ მთავრობის, რომელიც მას ყავსო და თუ საქართველოს მთავრობის და მისი პარტიის მოღვაწეობა დამოუკიდებლობის დროს იმაში გამოიხატა, რომ სოფლებში წითელი მამალი გაუშვა. თავად-აზნაურობას სწვავდა, ხოცავდა და მოკლულთა გვამებს ძაღლებს აჭმევდა, ქართველი ერი მართლადაც არ ყოფილა მომწიფებული საკუთარ ბედს თვით გაუძღვეს. ვინც კითხვა იცის და წაკითხულის გაგება შეუძლია «კავკაზი»ს 26 მაისის «საიუბილეიო» წერილიდან სხვა დასკვნას ვერ გამოიტანს.

თუ წერილის ავტორის მიზანი ეს იყო, მას შეუძლია კმაყოფილი დარჩეს: რამდენადაც ეს მაზზე იყო დამოკიდებული, ამოცანა გამოყვანილია.

საბედნიეროთ საქართველო ველური კუთხე არ გახლავთ. ის არც ისე უცნობი ქვეყანაა, რომ მას ამგვარი ცილისწამებით სახელი გაუტეხონ და კულტურულ ერთა ოჯახიდან გამორიცხონ.

ოცი წლის წინეთ მან კვლავ მისცა კაცობრიობას საუცხოვო მაგალითი იმისა, თუ რა შეუძლია მოსახლეობის რიცხვით მცირე ქვეყანას, როცა ის სულით მაგარია თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მთელი ერის, განურჩევლათ წოდებისა და სოციალური მდგომარეობისა, ერთი დროშის ქვეშ დგომამ სძლია ყველა დაბრკოლებანი და საქართველომ ასი წლის მონობას თავი დააღწია.

განა ამაზე ლაპარაკი სხვა ერების დამსახურების და ღირსების უარის ყოფაა? ცხადია ჩვენ ამ ბრძოლაში მარტონი არ ვყოფილვართ; ჩვენთან ერთად სხვებმაც ისარგებლა რუსეთის კრიზისით და ეროვნული თავისუფლების დროშაააფრიალა; შემდეგ, ზოგ მათთაგანს ჩვენი ბედი ეწია, ზოგი კი უფრო ბედნიერი აღმოჩნდა და მონობას გადაურჩა. მერე, სად არის აქ «საკუთარი პოლიტიკის გადაფუჩეჩების» სურვილი?

ჟორდანიასთან ერთად ჩვენც ვიტყვით, რომ ქართველ ხალხს სამართლიანათ შეუძლია იამაყოს იმ მდგომარეობით, რომელიც მან რუსეთის რევოლიუციის მეორე დღეს შექმნა 1917 წელში. არც ერთ ყოფილ რუსეთის სხვა კუთხეში არ ყოფილა მიღწეული ისეთი წესიერება როგორც საქართველოში. ეს ტრაბახი კი არ გახლავთ, ეს ისტორიული სინამდვილეა. «კავკაზის» კალმოსანი განზრახ მალავს, რომ

ბალტიის სახელმწიფოებში ამ დროს შინაური მდგომარეობა გაცილებით უარესი იყო, ვიდრე ჩვენში; ფინლიანდიაში კი სამოქალაქო ომის ცეცხლი დაინთო და მხოლოთ გარეშე ძალის ჩარევამ იხსნა ეს კუთხე განადგურებისაგან.

და თუ მიუხედავათ ამ წესიერებისა საქართველო დაეცა, ამის მიზეზი უფრო საგარეო ხასიათისაა, ვიდრე შინაურის.

ჟორდანიას და მის პარტიას აზრათ არ აქვთ თავის თავს ბოდიში მოხადონ და პასუხის მგებლობიდან თავი დაიძვრინონ. ჩვენ კარგათ ვიცით რომ ისტორია მომრიგებელი მოსამართლე არაა, «აბლაკატური» ხრიკებით რომ გახვიდე ფონს. მოვა დრო, როცა თვითვეული ჩვენთაგანი, დიდი და პატარა პასუხს აგებს თავის მოღვაწეობისათვის, როგორც იქ—საქართველოში,—თავისუფლების დროს, ისე აქაც ემიგრაციაში.

მანამდე კი ჩვენ ვიტყვით en toute connaissance de la cause, რომ საქართველოს ბედი არსებითათ გადაწყდა არა 1921 წელს, არამედ მაშინ, როცა საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობის გამო, დაიბადა რუსეთ-ოსმალეთის კოორდინაციის პროექტი; ამ ორ სახელმწიფოთა გაერთიანებული ფრონტი კავკასიის ბარიერის მოშლას მოითხოვდა.

დროებით, ამ ფრონტის გაძლიერებამდე, შემთხვევით საქართველოს შეეძლო გადარჩენა. ასეთი შემთხვევა მას 1921 წ. თბილისის სამხედრო თვალთაზრისით გაუმართლებელმა სამარცხვინო დატოვებამ ქართველებს დაუკარგა...

გადავიდეთ განსვენებულ კ. აბხაზის ინციდენტზე. ამ ბოლო დროს ჩვენს მოწინააღმდეგეებს «კავკაზი»-დან ფრიად უმსგავსო ჩვეულება დასჩემდა: ხშირათ იყენებენ მიცვალებულთ, რომელთა ხსოვნას ჩვენ პატივს ვსცემთ, მათი დაბალ ზრახვათა იარალათ. ქ. ჩოლოყაშვილის საფლავის ლანძღვა გინების ტრიბუნათ გადაქცევამ ბევრს ჩვენგანს იქ მისვლის ხალისი მოუსპო.

ასეთივეა კ. აბხაზის ამბავი. რომ კ. აბხაზი კაცი იყო და ქუდი ეხურა, ეს ჩვენ კარგათ ვიცით და ჩვენ ისეც ვიცით, რომ იგი სხვებსავით ლხინში ჩვენთან არ ყოფილა პირველ ალაგას გამოჭიმული და არც ჭირის დროს გაგვდგომია. ასეთი ბუნების ადამიანისათვის «კავკაზის» ფურცლებიდან ხოტბა და ქება და ისეც სპეციფიური მიზნისათვის მისი ხსოვნის შეურაცხყოფაა.

ეს სხვათა შორის. არსებითათ კი ამ ინციდენტს არ ქონია ადგილი არც «ჟორდანიას წესიერების» დროს, არც დამოუკიდებელ საქართველოში და არც საქართველოს პარლამენტში.

ამ სტრიქონების დამწერი,—მაშინ კომისარიატის თავმჯდომარე,—დაესწრო ეროვნულ საბჭოს სხდომას ფრეილინის ქუჩაზე, სადაც მსგავს ინციდენტს ქონდა ადგილი და ის კატეგორიულათ აცხადებს, რომ «კავკაზში» მოყვანილი დიალოგი კ. აბხაზისა და კ. გვარჯალაძის შორის იმ სახით, როგორც ეს ჟურნალშია მოყვანილი, მისი ავტორის ურიგო იმპროვიზაციაა,—არც მეტი არც ნაკლები.

არასოდეს კ. გვარჯალაძეს ტერორი არ გაუმართლებია და ვერ გაამართლებდა, თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ იმ დროს საქართველოში ტერორს ადგილი არ ქონია. ტერორი გულისხმობს პოლიტიკურ მომენტს, მაშინ როდესაც ზევით აღნიშნულ შემთხვევაში წმინდა წყლის სისხლის სამართლის ბოროტმოქმედებსთან გვქონდა საქმე. ასეთ აქტებს მთავრობა სიკვდილით დასჯით უპასუხებდა. სხვათა შორის სოციალდემოკრატიულ პარტიასაც მოუკლეს რამოდენიმე თვალსაჩინო წევრი.

რათ დასჭირდა ამ ამბის ასე გაბერვა და გადამახინჯება «მათი ოცი წლის» ავტორს? მკვლელობანი, და ისიც ალმაშფოთებელ ფორმებში, ხშირათ დასავლეთ ევროპის კულტურულ ქვეყნებშიდაც ხდება. მთელი კაცობრიობა შეაძრწუნა ლინდბერგის ბავშის ბედმა, მაგრამ არც ერთ ჭკუათ მყოფ ადამიანს არ მოსვლია აზრათ რეჟიმის და მთავრობის საკითხათ გაეხადა ეს სამწუხარო მოვლენა.

«კავკაზი» და მისი ქართველი თანამშრომელნი მუდამ იმის ცდაში არიან, რომ არ გაუშვან არც ერთი, თუნდაც უმნიშვნელო, შემთხვევა, რომ დასცენ საქართველოს რესპუბლიკის პრესტიჟი, სახელი გაუტეხონ მის მინისტრებს, პარლამენტს...

ამ მიზნისათვის ყველა საშვალება კარგია. საქართველოს პარლამენტისათვის რომ წიხლი ჩაეკრათ, განსვენებული ვალიკო ჯუღელის ხსოვნასაც წვდენ. მის ტრიბუნაზე ჯუღელი წელ-მაუზერიანი ადიოდაო. რამდენათ დამახასიათებელია ავტორის დღევანდელ სულიერ განწყობილებისათვის ეს დეტალი!

ჩვენც გვახსოვს ერთ დღეს ჯუღელი ფრონტიდან დაბრუნებული თოფის წამალში გამურული ტრიბუნაზე ავიდა და სახალხო წარმომადგენლობას ფრონტის მდგომარეობის შესახებ მოხსენება გაუკეთა. მაშინ ამაში არავის დაუნახავს დასაგმობი საქციელი. პირიქით ერთმა ცნობილმა ნაციონალ-დემოკრატმა იგივე ჯუღელი ქართველ გარიბალდის სახელწოდებით მონათლა. ეხლა კი ის მაუზერიან კონდოტიერათ გამოყავთ!

მერე რატომ არის, რომ ვერ მოუნელებიათ დღემდინ ვალიკო ჯუღელი და მისი მაუზერი? იგი ხომ საქართველოს კეთილდღეობას, მის ღირსებას შეეწირა? მხოლოთ იმიტომ, რომ ის მათ მიერ ათვალისწინებულ მენშევიკების წრიდან გამოვიდა.

ჯუღელისა და მისებრ სხვა ბევრ წამებულებით მდიდარ პარტიას ქართული სათნოების მაგალითის აღება სხვისაგან არ სჭირია. ჩვენ ეროვნულ გმირთა პარტიულ კლასიფიკაციას არ ვაკეთებთ და მათი სახელით არ ვვაჭრობთ. ეს ხელობა იმათთვის მიგვინდვია, ვინც აქ, ემიგრაციაში, «დიდ აქტივობას» იჩენს. დროებით, შესაძლოა, ამ აქტივობამ მათ ცოტა კაპიტალიც შესძინოს; გამწყრალი და გულგატეხილი მრავლათაა ემიგრაციაში; მათ ყველას აერთებს მენშევიკებისადმი სიძულვილი. საქართველოს აღდგენა და ამისათვის ბრძოლა კი მათთვის მეორე ხარისხოვანი საკითხია.

შესძლებს კი ასეთი ლაშქარი დიდ ხანს არსებობას? უკეთეს შემთხვევაში მოსკოვის დანგრევის პირველ ნიშნამდე.

ევ. გეგეჭკორი.

## რუსეთის ჩაგრულ ერთა მოძრაობა

### III. მიზნები და მოკავშირენი.

რუსეთის ჩაგრულ ერთა მოძრაობა თავის შინაგანი სიძლიერით და ყოველდღიური ბრძოლით თანდათან იპყრობს მსოფლიოს ყურადღებას და იგი ხდება საერთაშორისო ურთიერთობის აქტუალურ პრობლემად. კავკასია, უკრაინა, თურქესტანი, თეთრი რუსეთი, თავისუფალი ყაზახობა, ყირიმი, იდელ-ურალი, კარელია და ინგრია,—გაერთიანებული საერთო მისწრაფებით—უპირდაპირდება ველიკოროსიის ბატონობას და მით შლის მომავლის ახალ პერსპექტივებს. შემთხვევითი როდია, რომ ამ მოძრაობას დაერქვა კავკასიის ლეგენდარულ გმირის—«პრომეთე»ს—სახელი, რომლის დაუდგრომელი და მშფოთარე ბუნება მუდამ ბოროტებასან ბრძოლაშია; ადამიანის მოდგმათა საკეთილდღეოდ ის ღმერთებსაც არ ერიდება, ზეცით ცეცხლს იტაცებს და გაყინულ დედა-მიწას სითბოს გვრის. ამით ის საკაცობრიო საქმეს აკეთებს, კულტურის და წინმსვლელობის საძირკველს სკვნის.

ჩაგრულ ერთა მოძრაობაც «პრომეთესებურია». ის ებრძვის რუსეთის ბატონობას; თავს უყრის კავშირის ფარგალში მოქცეულ ერებს და მათ მიმართავს მოსკოვის თვითმპყრობელობის დასანგრევად. ამით ის ემსახურება არა მარტო თავის საქმეს, არა მარტო თავის კერას, არამედ ის გლეჯს მონობის არტახებს და ეროვნულ შემოქმედებას საკაცობრიო ღირებულებას აძლევს.

როგორც წინა მაგალითებიდან დავინახეთ, დღევანდელი რუსეთი დაყოფილია ორ მოპირდაპირე ბანაკად. ერთ მხარეზეა მჩაგვრელი—რუსეთი, რომელსაც ისტორიულ უკულმართობით და ძალადობით ხელთ ჩაუგდია სხვა ერთა ავლა-დიდება, მათზე მონობის უღელი დაუდგამს და იარაღით ხელში იცავს ნაქურდალს. მეორე მხარეზე დგანან ჩაგრული ერები, გაცარცული და უფლება აყრილნი. ეს უკანასკნელნი დღეს დგებიან, წელში იმართებიან და ერთი დროშის ქვეშ ირაზმებიან. მათ მხარეზეა სიმართლე და გაუტეხელი ნებისყოფა, სიმრავლე და ეკონომიური შესაძლებლობანი. რაც მთავარია, მათ ასულდგმულებს, ბრძოლაში ამაგრებს მიზნის ერთობა, საბრძოლო საგნის მიმზიდველობა. ცნობილია: ყოველგვარი ბრძოლა — სოციალ-პოლიტიკურია იგი, თუ ნაციონალური, მხოლოდ მაშინ იმარჯვებს, როდესაც მისი მიზანი საერთოა, მებრძოლთა შორის უდაოდ ცნობილი და სავალდებულოდ აღიარებული. რუსერის ჩაგრულ ერთა ბრძოლის მიზანიც სწორედ ამ კატეგორიას ეკუთვნის. ის წარმოაოგენს ბრძოლას რუსეთის იმპერიის დასანაწილებლად, მის მიერ ჩაგრულ ერთა განსათავისუფლებლად და მათგან დამოუკიდებელ სახელმწიფო ერთეულთა შესაქმნელად. ეს მიზანი ხვდება და უპასუხებს არა მარტო რუსეთის ჩაგრულ ერთა ინტერესებს, არამედ იგი მოდის რუსეთის, მთელი რიგი მოსაზღვრე სახელმწიფოების სასიცოცხლო ინტერესების ხაზზე.

და მართლაც, დღევანდელი რუსეთის გამაგრება მისი ნორმალური ზრდის და შინაგან ძალების განვითარების პერსპექტივა, უდაოდ სასიკვდილო საფრთხეს წარმოადგენს, არა მარტო მის საზღვრებში მოქცეულ ერებისათვის, არამედ მისი ლიმიტროფულ სახელმწიფოებისათვისაც. განა ვინმესთვის საეჭვოა, საით წავა რუსეთი თუ მას გასაქანი მიეცა? მოსკოვის სავალი გზები ცნობილია. პირველი მისი ცდა იქნება დაბრუნება იმ ტერიტორიების და ერების, რომლებიც გუშინ მის მონობაში იყვენ. ან კი ვის შეუძლია მძლავრი და გაერთიანებული რუსეთი შეაჩეროს ფილიანდიის, პატარა ესტონიის, ლატვიის ან გინდა პოლონეთის საზღვრებზე, თუ ლიმიტროფულ სახელმწიფოთა მთლიან ფრონტთან ერთად არ იქნა გამოჭედილი თვით რუსეთის ჩაგრულ ერთა მთლიანობა?

გადახედეთ საბჭოთა კავშირის დასავლეთ საზღვრებს, სადაც შვეციის, ფილიანდიის, ესტონიის, ლატვიის, ლიტვის, პოლონეთის და რუმინიის 71 მილიონიან მცხოვრებთ რუსის ხიშტი «დომოკლეს ხმალად» რომ დასჩერებია. ამ სახელმწიფოთა ინტერესები მჭიდროდ გადასკვნილია რუსეთის ერების ბედზე და მომავალზე. ან გაიმარჯვებს ჩაგრულ ერთა მოძრაობა და მაშინ აღნიშნული მოსაზღვრე ქვეყნები სამუდამოდ აიცდენენ აღმოსავლეთიდან მომდგარ სასიკვდილო საფრთხეს,—ან დამარცხდება ეს მოძრაობა და მაშინ კარი გაეღება ნაციონალურ რუსეთის ძლევამოსილ მსვლელობას დასავლეთით და სამხრეთით თბილ ზღვებისაკენ.

მართალია, გარდა პოლონეთისა, დასავლეთის მეზობლებში ეს «ინტერესთა გაგება» დღეს კიდევ არ არის ეფექტიური, რაც, უეჭველია, ასუსტებს ჩაგრულ ერთა აქტივობას, მაგრამ სინამდვილე და რეალური ძალთა განწყობილება, ევროპის ამ კუთხეში, მათ აიძულებს რუსეთის დაშლა-დანაწილებას ბეჯითად მხარი დაუჭირონ და მით საკუთარი არსებობა უზრუნველჰყონ.

ამ რიგად, საბჭოთა კავშირში გაჩაღებული ეროვნული ბრძოლა არსებითად სცილდება რუსეთის ფარგლებს, ის უპასუხებს მეზობელ თავისუფალ სახელმწიფოთა საარსებო ინტერესებს; ხდება მათი ბუნებრივი მოკავშირე და მით შედის საერთაშორისო ურთიერთობაში.

ასეთ ისტორიულ ასპექტში რუსეთის ჩაგრულ ერთა უახლოესი და საშური საგანია მძლავრი გაერთიანებული ორგანიზაციის შექმნა. დღემდის აღნიშნული ერები თავიანთ საქმიანობას მხოლოდ საკუთარი ნაციონალური ფარგალით საზღვრავდენ. თუმცა აქა-იქ ერთმანეთს უკავშირდებიან, მაგრამ ეს კავშირი განსაზღრულ ამოცანებს მაინც არცილდება. დღევანდელ ვითარებაში კი მიუცილებელი ხდება ამ ჩაგრულ ერთა გაფანტულ, ცალკეულ ბრძოლის თავის მოყრა; ერთ დროშის და მიზნის ქვეშ მათი დაყენება. და ასე—75 მილიონიან ერების ერთ

მტკიცე მუშტად შეკვრა. ეს სადღეისო ამოცანაა და მის რეალიზაციას დაყინებით მოითხოვს რუსეთში შექმნილი ძალთა განწყობილება და საერთაშორისო ვითარება.

ასეთი გზა და საქმის მიმართვა, ჩაგრულ ერთა ბრძოლაში, უეჭველად, ჩააბამს თავის ბუნებრივ და უანგარო მოკავშირეებს სკანდინავიდან შავ ზღვამდე. ეს მით უფრო ადვილია, რომ აღნიშნულ ხაზზე მდებარე თავისუფალი სახელმწიფოთა სასიცოცხლო ინტერესები, როგორც ვთქვით, დაკავშირებულია დღევანდელ რუსეთის—ამ ერთა კონგლომერატის—დარღვევასთან. აქ ჩვენი და მათი ინტერესები ერთმანეთს ეგუებიან, ერთად მიდიან და წარმოადგენენ ბრძოლას «ჩვენი და მათი თავისუფლებისათვის».

სან-მანი.

## კომუნისტური არჩევნები

კომუნისტური გაზეთები გვაუწყებენ, რომ ქართველი ხალხი უდიდეს სიხარულს მოუცავს; ამ არაჩვეულებრივი სიხარულის მიზეზი ყოფილა ის, რომ საქართველოს უმაღლეს საბჭოს არჩევნებში 12 ივნისს არნახული გამარჯვება მოუპოვებია კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკს. ხალხი თურმე მუსიკით, ცეკვა-თამაშით და სიმღერებით მიიჩქაროდა საარჩევნო ყუთებისაკენ და სიხარულის ყრუანტელით შეპყრობილი უშვებდა ყუთში საარჩევნო ბიულეტენებს, რომლებშიაც პირველ კანდიდატებათ დასახელებულნი იყვნენ გაღმერთებულ-განდიდებული სტალინი და მისი უენო მონა-მორჩილნი რუსები—მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი და ეჟოვი. ასეთივე სახისა და სანახაობის ყოფილა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოების არჩევნებიც. არჩევნებში ყოველგან ამრჩეველთა 99 პროცენტზე მეტს მიუღია მონაწილეობა, თვითონ თბილისში კი 99,9%-ს.

საბჭოთა ქვეყნებში ყველაფერი პლანეტარული მასშტაბით ხდება, ყოველი მათი «მიღწევა», რომელ დარგშიაც არ უნდა იყოს იგი, პლანეტარული პროცენტებით ითვლება. ამბობენ, რომ თუ ღმერთმა ვინმესი დასჯა განიზრახა, მას ჭკუისა და გონების სისაღეს წაართმევსო; ბოლშევიკებსაც სწორედ ჭკუისა და გონების ეგ სისაღე აქვთ წართმეული, თორემ სხვანაირად როგორ შეიძლება ავხსნათ ის სასაცილო მდგომარეობა, რომელშიაც ისენი იყენებენ თავის თავს ყოველ ფეხის გადადგმაზე და ყოველ შემთხვევის გამო? დავიწყოთ მათი პროცენტებიდან. როგორ წარმოვიდგინოთ, რომ თბილისში მართლა სიაში შეტანილ ამომრჩეველთა 99,9 პროცენტი გამოცხადდა საარჩევნო ყუთებთან? დღიდან საარჩევნო სიების შედგენისა არჩევნების დღემდე ზოგი მოკვდებოდა, ზოგს დახვრეტდენ, ზოგს ციხეში ჩასვამდენ, ზოგი არჩევნების დღეს ავათ იქნებოდა, ზოგი თბილისიდანაც იქნებოდა წასული ამა თუ იმ საქმიანი თუ უსაქმო მიზეზის გამო, ზოგს ამ დიდ ქალაქში მიცვალებული ეყოლებოდა დასასაფლავებელი, ზოგს ცოლი მოსალოგინებელი და სხვა. შეუძლებელია რომ ყველა ამათი რიცხვი ერთ მიათედ პროცენტში ჩაეტიოს, როგორც ის არის შეუძლებელი, რომ ყველა დანარჩენები უკლებლივ გამოცხადებულიყვენ საარჩევნო ყუთებთან.

საქართველოში იშვიათია ისეთი ოჯახი, რომელიც საოკუპაციო კომუნისტურ ხელისუფლებას არ აეტირებიოს: ზოგს დახვრეტილები ყავს, ზოგს გადასახლებულნი, თუ დატუსაღებულნი, ყველანი კი გაძარცვულნი არიან უკანასკნელ პერანგამდე. გლეხობა ძალით არის შერეკილი იმ კოლხოზებში, რომელთა სათავეში თვითონ სტალინისა და მოლოტოვის მოწმობით დგანან კოლხოზელთა ნაშრომის გამნიავებლები, უსულო და უგულო ბიუროკრატები და ყველა ჯურის დამნაშავენი. ვინ უნდა დაიჯეროს, რომ ყველა ეგ ატირებულნი, სტალინის «ბრძნული ხელმძღვანელობით» დაქვრივებულ-დაობლებულნი და გაძარცვულნი ცეკვა-თამაშითა და სიმღერებით გაეშურენ სტალინისა და მისი ჯალათების ასარჩევად? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბოლშევიკები ტერორითა და დაშინებით ბევრ ამრჩეველს მირეკავდენ ყუთებთან, კარნავალებსაც მოაწყობდენ ცეკვითა და სიმღერებით, მაგრამ იმაშიაც ვართ დარწმუნებული, რომ უსაშინელეს მონობაში ჩაგდებული დაპყრობილ საქართველოს მოსახლეობა სიხარულისა და მხიარულების გუნებაზე ვერ იქნებოდა. უმაღლეს საბჭოს არჩევნები მაშინ იქნებოდა სასიხარულო ქართველი ხალხისათვის, რომ იგი ნიშნავდეს არსებულ მდგომარეობის შეცვლას: ოკუპაციის მოხსნას და კომუნისტური რეჟიმის დაცემას. სტალინის კონსტიტუცია და მის ჩარჩოებში არჩეული უმაღლესი საბჭო კი წინაალმდეგ მიზანს ისახავს,—მისი დანიშნულებაა არსებული მდგომარეობის განმტკიცება.

ზოგიერთი გულუბრყვილო უცხოელები ფიქრობდენ, რომ სტალინის კონსტიტუცია კომუნისტური ხელისუფლების ევოლიუციას ნიშნავდა და იგი უფლებრივ მდგომარეობას აღადგენდა მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზე. ასეთი ილიუზიები ამ გულუბრყვილოებსაც გაუქრო საკავშირო უმაღლესმა საბჭომ. ამ უკანასკნელის პარლამენტარული მოღვაწეობა იმაში გამოიხატა, რომ მას სტალინის სახელის ყოველ წარმოთქმაზე «ურა» აყვირეს, სტალინის კაბინეტში წინასწარ შედგენილი მთავრობის წევრთა სია დაამტკიცებიეს, ორ-სამჯერ მოსკოვის თეატრებში და სინემატოგრაფებში გაასეირნეს და შინისაკენ მშვიდობით გაამგზავრეს. არავითარი ეჭვი არ არის, რომ მოკავშირე რესპუბლიკათა საბჭოებიც საკავშირო საბჭოს სრული კოპიო იქნება. ჭკუისა და გონებისაგან განთავისუფლებული კომუნისტური ხელისუფლება ვერ ამჩნევს, რომ ამ სახის უმაღლეს საბჭო მას სავსებით ატიტვლებს, ნიღაბს ხდის და მის დესპოტიურ ბუნებას ადასტურებს.

მოსკოვის «პრავდა»-ს მოწინავე ისტერიულად გაჰკივის კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვებაზე და ვერ ამჩნევს, რომ ეგ «გამარჯვება» არის უდიდესი დამარცხება. ის ფაქტი, რომ არჩეულთა სრული ასი პროცენტი ბლოკის კანდიდატებს შეადგენს, ურყევად ამტკიცებს, რომ არჩევნები ბოლშევიკური მასშტაბით იყო ჩაწყობილი. ამრჩეველს არ ქონდა საშვალება მოჯიბრე კანდიდატებს შორის არჩევანი მოეხდინა, რადგან არ იყვნენ მოჯიბრე კანდიდატები; იყო მხოლოდ ერთი ოფიციალური,—ხელისუფლების მიერ მოწონებული,—სია და ყველა ვალდებული იყო ხმა მიეცა ამ სიისათვის.

ბოლშევიკური არჩევნების შეუმცდარ დახასიათებას ვპოულობთ თვით კომუნისტურ გაზეთებში. აქ აწერილია თუ როგორ განახორციელეს თავისი საარჩევნო უფლება საბჭოთა კავშირის იმ მოქალაქეებმა, რომელნიც არჩევნების დღეს მატარებლითა და გემებით მოგზაურობდენ. მგზავრები დილის 5 საათზე გაუღვიძებიათ, თვითეულისათვის ჩაუბარებიათ კონვერტში ჩადებული ბიულეტენი ოფიციალური კანდიდატის სახელის აღნიშვნით და მიურეკიათ ყუთთან. ასეთ არჩევნებს ბოლშევიკები უწოდებენ ყველაზე უფრო დემოკრატიული კონსტიტუციით დაწესებულ ყველაზე უფრო დემოკრატიულ არჩევნებს. ბოლშევიკებს იმის ჭკუაც კი არ შერჩენიათ, რომ არჩევნების ასეთი სამარცხვინო წესი დამალონ და მის შესახებ გაზეთებში არ სწერონ.

ქართული «კომუნისტი» (№ 137, 16 ივნისი 1938 წ.) თავის მკითხველებს აწვდის, რომ «ცნობა ხალხთა ბელადის ამხ. სტალინის ს. ს. რ. უმაღლეს საბჭოს დეპუტატად არჩევის შესახებ ელვის სისწრაფით გავრცელდა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქის დედაქალაქში. მუშები, გლეხები და ინტელიგენცია სიხარულით უზიარებენ ამ ამბავს და ულოცავენ ერთმანეთს კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის გამარჯვებას»... ეგ სტრიქონები რომ ისეთ უცხოელს წააკითხო, რომელიც არ იცნობს კომუნისტურ საარჩევნო წესებს, უთუოდ იფიქრებს, რომ «ხალხთა ბელადს» საარჩევნო მოედანზე ვიღაც ძლიერი მოქიშპე ყოლია და მის წინააღმდეგ გაუმარჯვია. ქართველი მკითხველისათვის კი ასეთი «ცნობით» გამასპინძლება დაცინვაა; ყველამ წინდაწინ იცოდა, რომ სტალინის ბლოკი «გაიმარჯვებდა» და რომ სტალინი პირველ დეპუტატად იქნებოდა «არჩეული». ამისთანა «გამარჯვებაში» და «არჩევაში» არც სასიხარულოა რამე და არც მით უმეტეს მოსალოცი.

ქართველი ხალხი არც სტალინიდან გამოელის ავის და ბოროტების გარდა სხვა რამეს და არც მისი უმაღლეს საბჭოდან. მისთვის სასიხარულო და მილოცვის დღე იქნება ის დღე, როდესაც იგი თავისუფალი გახდება როგორც სტალინიდან, ისე მისი უმაღლეს საბჭოდან, როდესაც საქართველო უცხო უღელს გადაიგდებს კისრიდან და თბილისის სასახლის თავზე ააფრიალებს 26 მაისის სამფეროვან ეროვნულ დროშას.

ბ. არიძე.

## რას სწერენ კომუნისტებზე?

კომუნისტური იდეებით გატაცებული ფრანგი მუშა ივონი 1»23 წ. გაემგზავრა რუსეთში. მაშინ ის 24 წლის ახალგაზდა იყო, რომელიც მის სათაყვანებელ რუსეთს ოფიციალური ფრაზებით, ციფრებით და პროპაგანდით იცნობდა. 11 წლის განმავლობაში სხვადასხვა კუთხეში და სჴვადასხვა თანამდებობაზე ყოფნით ის მან გაიცნო სინამდვილეში და ბოლშევიკური გახრწნილების და ამორალობის ქსელიდან თავის დაღწევა ამიერიდან ღვთის წყალობად მიიჩნია. მიუდგომელი, გულწრფელი სისადავით ასწერს ის იქ ნახულს და განცდილს თავის შრომაში «რუსეთი სინამდვილეში» და მკითხველის წინაშე ფარდას ხდის განუზომელი სიღრმის უფსკრულს, ბოლშევიკურ სიტყვას რომ მის საქმიანობისაგან ჰყოფს. აი ამ შრომის შინაარსიც.

რუსეთის ეკონომიური სისტემის დასაბამი არის გეგმა. ეს იდეა ახალია და მიმზიდველი. მისი მთავარი დანიშნულებაა სახელმწიფოს გარდაქმნა პოლიტიკურ ორგანიზაციიდან ეკონომიურ ორგანისაციად, ხოლო ამ პროცესს ერთი დიდი საფრთხე თან ახლავს: სახელმწიფოს საწარმოვო საშუალებებით შეიარაღება ლოღიკურად ბოლოვდება მისი ტირანიული გაძლიერებით თუ მისი უფლების დასაბამი თვით ხალხის ცნობიერი ნებისყოფა არ არის. და ამ განუსაზღვრელი ტირანიის გზას დაადგა დღევანდელი რუსეთი. იქ დაგეგმულია ყველაფერი, უბრალო მანიოვრის შრომიდან მწერლისა და ხელოვანის ფანტაზიამდე. დაგეგმული ეკონომიკა შეიცავს მსხვილი ინდუსტრიის განვითარების შესაძლებლობას, განუსაზღვრელი კონცენტრაციის ხაზით, მაგრამ სპეციალისტთა თავიდან გამოსული ციფრები, ხაზები, დიაგრამები და თეორიები რეალობის უბრალო ფანტაზიას ხშირად ვერ ითვალისწინებენ და გადებული თანხები უნაყოფოთ იფლანგებიან. რუძუტაკის ჩივილის თანახმად ურალის რაიონში, ტაგილსეში დიდი ქარხნების აგების სისტემა 26 თვის გმნმავლობაში ცხრაჯერ შეიცვალა ცენტრის ბრძანებით. არც ერთ მიღებულ სისტემას ექვს თვეზე მეტი არ გაუძლია. ადგილობრივად აღმოჩენილ შეცდომების გამოსასწორებლად ხელისუფლება მიმართავს საწარმოვო თათბირებს, მუშათა კლუბებს. «მე ვფიქრობ—ამბობს ავტორი—რომ ამ კრებების დროს ყველაზე ძლიერად ვიგრძენ თუ რა სამასხაროდ იღებენ ხალხს»-ო. ბოლშევიკური «სოციალიზმი»—პლანია. მისი სახალხო მიტინგის მსჯელობის საგნად გამოტანა სამარცხვინო რეკლამაა, რადგან გეგმა მთლიანობას გულისხმობს, ხოლო მსოფლიო ხედვის მთლიანობა და ერუდიცია მცირე რიცხოვან რჩეულთა საკუთრებაა.

ეს რჩეულნი საბჭოთა იერარქიის სათავეში მყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფი სპეცი-ბიუროკრატები არიან, მათი ეკონომიური ფუნქცია განსაზღვრავს მათ პოლიტიკურ და სოციალურ უპირატესობებს. ამრიგად, ყალიბდება ახალი საზოგადოება, რომლის შენახვაში დაინტერესებულნი არიან მისი კადრები, მოხელეები, ე. ი. ყველა ის, ვინც ხალხის ხარჯზე გზა გაიკაფა და ხელისუფლების სათავეში მოქცევით თავისი ამბიცია გაანაღდა. ეს კლასი ადგენს ახალ გეგმებს, გაუთავებელი, ციკური ცერემონიებით ქმნის მშენებლობის ილიუზიას, ისვრის ახალ ლოზუნგებს და ცხოვრობს არხეინად.

რევოლიუციის წინა რუსეთმა თავისი სწრაფი განვითარებით კაპიტალისტური მეურნეობის დარგში გიგანტიურ შედეგებს მიაღწია, მაგრამ ეს მიღწევები ტერიტორიის ზვიადობით იფარებოდენ. რევოლიუციის ამოცანა მათი გამოყენება და წარმოების ტემპის და განვითარების ჰუმანიური გზით მიმართვა იყო. ბოლშევიკებმა ქვეყნის ინტენსიურ ინდუსტრიალიზაციით დაიწყეს და ამ პროცესის მეთვალყურედ პოლიციური აპარატი გამოაცხადეს. ამრიგად, საწარმოო გეგმა დასცილდა ცხოვრების მიერ მოცემულ შესაძლებლობათ. ინდუსტრიალიზაცია ხდება ყოველგვარი გეოგრაფიული და სატრანსპორტო მიზანშეწონილობის გაუთვალისწინებლად. მათი ერთად ერთი ამბიცია კაპიტალისტური ქვეყნების გასწრებაა. კაპიტალისტურ ქვეყნებს მართლაც გაუსწრეს შრომის დამონავებაში, მუშათა და გლეხთა ექსპლოატაციაში და საზოგადოების ინტენსიურ გაღარიბებაში. დაგეგმილი წარმოება უგეგმობად და უაზრობად გადაიქცა. კოლექტივიზაციამ ტრაქტორების ასამუშავებლად აუცილებელი ცხენები წინასწარ გაანადგურა და ტრაქტორები გამოუყენებელი დარჩენ. რამდენი გეგმით გათვალისწინებული დიდ-ძალიანი ორთქლმავალი გამოუშვეს ქარხნებმა, რომელთა ამუშავების შესაძლებლობა გამორიცხულია შესაფერი ხიდეების და ლიანდაგის უქონლობის გამო. სტალინგრადის ტრაქტორების ქარხანა ამუშავდა 1931 წელს. ორი წლის შემდეგ მისი იარაღები სავსებით გაცვეთილი და უვარგისი აღმოჩნდენ. მოსკოვის ავტომობილების ქარხანამ ორი წლის განმავლობაში ვერ მიაღწია სავარგის ფრთების დამზადებას. 1937 წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში ათასზე მეტი მოტორი დაუბრუნდა სახელოსნოს, როგორც უვარგისი. ამავე ხნის განმავლობაში ქარხანამ, გეგმით გათვალისწინებულ 800 მანქანის მაგიერ, გამოუშვა 149, რომელთაგან 140 უკან დაუბრუნდა, როგორც ბრაკი. და ამ მანქანების ერთი ნიმუში დიდი ამბვით იყო ნაჩვენები პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე! ნაჩქარევი და უთავო მშენებლობა იწვევს ზედმეტ ხარჯებს, ენერგიის უსარგებლო ფლანგვას და ქარხნების გაჩერებას. გაზ. «ზა ინდუსტრიალიზაციის» ცნობით კუზნეცკ-მაგნიტოგორსკის სიდერურგიული ქარხანა გაჩერებულია თვეში 400-500 საათს. მდინარე ვოლგასა და მოსკვას შემაერთებელი არხის სიღრმე უდრის 5 მეტრს 50 სანტ., რაც საკმაოა დიდი გემებისათვის, მაგრამ თვით ვოლგას სიღრმე არ აღემატება 3 მეტრს, რაც შეუძლებლად ხდის არხის სათანადო გამოყენებას.

მთელი ეს მშენებლობის მანია ჯდება აუტანელად ძვირი, მაგრამ სახელმწიფო ეკონომიკის უპირატესობა იმაშიდაც გამოიხატება, რომ აქ გაკოტრება არ ხდება და ძლევამოსილი სახელმწიფო დაკარგულს ანაწილებს მოსახლეობაზე. «ინდუსტრიალიზაციას არაფერში არ მოჰყოლია მუშის არც ამაღლება, არც განთავისუფლება... მშობიარობის საშინელი ტკივილების მიუხედავად, ნაციონალური თვალსაზისით მისი შედეგი იქნება ხელსახები, მაგრამ სოციალიზმი იქიდან გაფცქვნილი გამოვა» ოსჩივის ავტორი.

საბჭოთა ნორმების მთავარი პრინციპია რაც შეიძლება მეტი საქონლის დამზადება. რევოლიუციის მთავარი მიზანი—შრომის განთავისუფლება, სავსებით მივიწყებულია. სამუშაო ნორმად ყველაზე დიდი ინტენსიური შემოქმედება ითვლება და მის შესრულებას, როგორც სოფლად, ისე ქალაქად, წამოწყების სამკუთხედი ადევნებს თვალყურს. მისი შემადგენლობა ასეთია: წამოწყების დირექტორი, პარტიის ადგილობრივი მდივანი და პროფკავშირის ადგილობრივი რწმუნებული. წამოწყება ვერ ასრულებს ნორმას, პროფკავშირის რწმუნებული იწვევს კრებას, რომელიც «ენტუზიაზმით» ადგენს დასასვენებელ დღეებში მუშაობას და სამუშაო ხელფასის რომელიმე ფონდისათვის გადადებას. ამ წესით ხელისუფლება ორ კურდღელს იჭერს და წინააღმდეგობის გაწევა ამ ოფიციალურ «ენტუზიაზმისადმი», ხომ პოლიციის აპარატებს ამუშავებს! კაპიტალისტურ საზოგადოებაში სანარდო სისტემა სცოცხლობს ქარხანაში, ბოლშევიკების სამეფოში მონობის ეს ახალი ფორმა მონათლულია ღვთის წყალობად და ვრცელდება სოფელზედაც. აღნიშნულ სამკუთხედს უხვად გააჩნია ცნობები შრომის პროდუქტივობაზე და თვითეული მუშის მუყაითობაზე, რადგან მუშებში მეფობს შურის, დასმენის ფსიქოლოგია ხელისუფლების ყურადღების მისაპყრობად და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. საბჭოთა ქვეყანაში წინ წაწევის ერთად ერთი საშვალება ყრუმორჩილება და დასმენა-ჯაშუშობაა. ბურჟუაზიულმა წარმოებამ მუშებს კორპორატიული სული შთაბერა და ამხანაგური სოლიდარობის გრძნობა განუმტკიცა. საბჭოთა სისტემამ სოლიდარობა მოსპო და მუშები სამკვდრო-სასიცოცხლოდ ერთმანეთს გადაჰკიდა. ძველი რომაული სიბრძნე—დაჰყავი და იბატონე—რუსეთში დღეს ჰპოულობს იდეალურ განაღდებას. შეუძლია თუ არა მუშამ ნორმა უნდა შეასრულოს. ჩივილი, საყვედური საბოტაჟს უდრის და გეპეუს კომპეტენციაში ვარდება. აუტანელი სამუშაოს მიტოვება კი სიმშილით და უბინაობით სიკვდილს უდრის, რადგან ბინის უფლება სამუშაოთი განისაზღვრება და პირველის დაკარგვა მეორეს დაკარგვასაც ნიშნავს. მუშის უბრალო ავტომატად გამოცხადებით ბოლშევიკებმა პირველად გაამართლეს ტაილორის წინასწარმეტყველება: დღევანდლამდე მნიშვნელობით სჭარბობდა პიროვნება, მომავალში კი ორგანიზაცია და მეთოდი გამეფდებიანო.

მუშები იყოფიან 8 კატეგორიათ. ხელფასის განსხვავების კეფიციენტი კატეგორიათა შორის აღწევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

3½-4. ამრიგად, პრივილეგიური ფენები ჩნდებიან თვით მუშათა რიგებშიც და აქ ერთად ერთი საზომი მორჩილება და ფიზიკური გამძლეობაა. მუშის ამ გაუგონარ ექსპლოატაციის პროცესში პროფკავშირები მთავრობის მეთვალყურენი არიან. მათი ბიუროები იტევენ 75.000 მოხელეს, რომელთა შენახვა 1937 წ. დაჯდა 415 მილიონი, რაც უდრის საწევრო გადასახადების სამ მეოთხედს. პროფ-კავშირის მოხელე წამოწყებაში ხელისუფლების ფხიზელი თვალია. ის მთავრობის დეკრეტების ზევიდან მოვლენილი გამტარებელია. დეკრეტი კი რუსეთში ყველაფერია. რომელიმე რაიონის კომ. ორგანიზაციას მოეპრიანა გეგმის გადაჭარბება და გიგანტის აშენება; მთავრობა უშვებს დეკრეტს, აწყობს პროპაგანდას და ქმნის შემოქმედების ილიუზიას, უმთავრესად რომ სარეკლამო დანიშნულებისაა. საჭიროა უმუშევრობის მოსპობა; მთავრობა აუქმებს შრომის ბირჟებს, პოლიცია კისრულობს მათ ლიკვიდაციას. უმუშევრად დარჩენილი ავტორი დახმარებისათვის მისულა პროფ-კავშირის მდივანთან. «როგორ, თქვენ არ იცით, რომ ჩვენში უმუშევრობა არ არის»? ეკითხება მდივანი. «სჩანს, არის, რადგან მე სამი თვეა სამუშაო ვერ მიპოვნია». «წადი და მეორეჯერ ასეთი ლაპარაკი არ გაბედო»—გააფრთხილეს იგი. არ არის უმუშევრობა, რადგან უსაქმოდ დარჩენილი მუშები ადმინისტრატიული წესით იგზავნებიან შორეულ ციმბირში სამუშაოდ, სადაც აუტანელ შრომით და შიმშილით დასუსტებულ სხეულს, სიცივე და უბინაობა შეუჩერებლად სამარისკენ მიაჭენებს. ამრიგად, ყოველი მუშა, მოქალაქე პოტენციალური კატორღელია, ყველა იმ რისკით და საშიშროებით, რასაც ამ ცნებით განსაზღვრული მდგომარეობა გამოხატავს უაღრესად პოლიციურ რუსეთში. აბა, რას იტყოდა განათლებული საზოგადოება, რომ საფრანგეთის მთავრობას უმუშევრობა დეკრეტით გაეუქმებია და 400.000 უმუშევრისათვის სახარის უდაბნოში სამუშაოდ წასვლის წინადადება მიეცა!

მუდმივი ტერორი, პროცესები და ურთიერთშორის დაუნდობელი ანგარიშის გასწორება ბოლშევიკური მორალის პირდაპირი მანიფესტაციაა. საერთოდ, გავრცელებული იყო ის შემცდარი აზრი, რომ თითქოს ბოლშევიკები უანგარო და თავდადებული რევოლიუციონერები იყვნენ. ეს აზრი ეყრდნობოდა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეპიზოდებს, მაგრამ რა ადვილია უანგარობა, როცა მისალები არაფერი გაქვს! ხოლო ხელისუფლების დაპატრონებით, მათ განყენებულ გატაცებას მეფის რეჟიმის წინააღმდეგ, მიეცა კონკრეტიული ფორმა. ეს ფორმა იყო ხელისუფლება და იგი გადაიქცა მათ მთავარ მიზანსწრაფვად. აქ ხალხის კეთილდღეობაზე ლაპარაკიც აღარ არის. მიზნის მისაღწევად საშუალებათა რომელობითი განსხვავება ზღაპარია. მათთვის იდეალი მუდამ სასაცილო საგანი იყო. სინდისი, რაინდობა, სიქველე, სოლიდარობა—მათ ბურჟუაზიულ მორალის ანარეკლად მიაჩნდათ და მიაჩნიათ.

რუსეთის ეკონომიკის სოციალისტური შინაარსის საზომად ზერელე დამკვირვებელთ გიგანტიური ქარხნები და მყვირალა თეზისები მიაჩნიათ. ქარხნების სიდიდე კი სხვა არა რა თუ არ წარმოების კონცენტრაცია, რაც ეტატისტურ რუსეთში გულშემზარავ მონობის დაკანონებას მოასწავებს. ტერორისტული რეჟიმის და განუკითხავი ექსპლოატაციის წყალობით მოსახლეობამ 10 მილიონით მაინც დაიკლო 1997 წლის საყოველთაო აღწერის ჩვენებით. და რადგან ციფრების სტალინისტურად გადაკეთება და მოსახლეობის შემცირების მის ზრდათ გამოცხადება შეუძლებელი დარჩა, სოვნარკომმა იგი სანაგვე ყუთში გადაუშვა და მზე არ აჩვენა.

მაშასადამე, საბჭოთა საზოგადოება არის ახალი საზოგადოება, კლასების ახალი დიფერენციაციით, უფლების ახალი განაწილებით. იქ ხელისუფლება მოდის ზევიდან ქვევით, ვერტიკალური ხაზით. წინანდელი პრივილეგიის ატრიბუტები «სისხლი» და «ფული» შესცვალა «სოციალურმა ფუნქციამ». ეს არის ბიუროკრატ-მოხელეების ბატონობის სამყარო, სადაც იერარქიის სათავეში კომუნისტი-პასუხისმგებელი და სპეცი იმყოფება, ხოლო ბოლოში—წვრილი მოხელეები. ამრიგად, მუშათა კლასს მართლაც ექმნება შთაბეჭდილება, რომ რევოლიუციამ მას რაღაცა მისცა, რადგან ის ყველაზე უბედური არ არის. წვრილი მოხელეები მასზე უმწეო და განწირულნი არიან. ამ სინამდვილეს ადასტურებს არსებული ხელფასი:

| | |
|---|---|
| წვრილი მოხელე თვეში | 110-225 მან. |
| უბრალო მუშა | 110-250 მან. |
| მსხვილი მოხელე, პასუხისმგებელი | 1.500-10.000 მ. |

ასეთივე უთანასწორობაა სოციალურ დაზღვევის და პენსიის განაწილებაში. მუშა იღებს თვეში 25-80 მანეთამდე, ყოველი სხვა შეღავათის გამორიცხვით და ამის მისაღებადაც საჭიროა დიდი პროტექცია. მისი პენსია აღწევს 25-50 მან., უდარნიკის—70-80 მ. ამიტომ, 70-75 წლის მოხუცის ქარხნებში და მაღაროებში მუშაობა ჩვეულებრივი მოვლენაა. დიდ მოხელეთა ოჯახის პენსია აღწევს 250-1.000 მან. ყოველგვარი პრივილეგიით.

მყვირალა უთანასწორორობაა სურსათის განაწილებაში, ბინებში, რესტორანებში, დასასვენებელ სახლებში, სკოლებში და საერთოდ ცხოვრების ყველა დარგში. მუშის სამუშაო ადგილზე მიკვრამ, მასში დაამუშავა ნამდვილი ავტომატის ფსიქოლოგია, რომელიც თანდათან შორდება პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას. მუდმივი დევნა და სიღარიბე აცლის მას სიცოცხლის უნარს და უკარგავს ბრძოლის ტემპერამენტს. 1936 წ. დეკემბრის საკავშირო საბჭოს მე-8 კონგრესის სოციალური შემადგენლობა შემდეგი იყო:

| | |
|---|---|
| დიდი მოხელეები, პასუხისმგებლები, სპეციალისტები და უფრ. ოფიცრობა | 937 |
| საშუალო მოხელეები | 589 |
| სტახანოველები, ტრაქტორის გლეხები | 430 |
| უბრალო მუშები და გლეხები | 60 |

ეს ნუსხა ნათელყოფს, თუ რა უმნიშვნელოა მუშისა და გლეხის როლი «მუშათა და გლეხთა» სახელმწიფოს პოლიტიკაში. მისი როლია განუწყვეტელი შრომა, დოვლათის შექმნა ახალი პრივილეგიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასების სასარგებლოდ. მას აკრძალული აქვს აზროვნება და ფიქრი და ალკვეთილი მონური სისტემის მხილების საშუალებები.

ამრიგად, საბჭოთა სისტემა წარმოადგენს კაპიტალიზმის განვითარებას, იმ განსხვავებით, რომ პატრონ სახელმწიფომ მოსპო კონკურენცია, კერძო ინიციატივა, აზრი და ყველა ერთად იდეალურად ჩამოსხმულ პოლიციურ აპარატს დაუმორჩილა. დაგეგსული საზოგადოება ბარბაროსობის ახალ სტადიათ მოგვევლინა. სახელმწიფოს განუსაზღვრელი უფლებით შეიარაღებამ, მისთვის საწარმოო იარაღებზე მონოპოლიის მინიჭებამ, გაუგონარი პოლიტიკური ტირანია ჩამოაყალიბა და მუშათა კლასს ბრძოლის ახალი საგანი გაუჩინა. ამოგდებული მატყუარა და სარეკლამო ხვეულიდან ბოლშევიკური «სოციალიზმი» კაპიტალიზმის ანტითეზად კი არა მის მიზეზობრივ გაგრძელებად გვევლინება, უკანასკნელის უარყოფითი და რეაქციონური ელემენტების შენახვით და საზღაპრო წამახვილებით. შეიძლება ეს რუსული ისტორიული ევოლიუციის აუცილებელი გზა იყოს, მაგრამ სოციალისტური თვალსაზრისით ის დიდი უკან დახევაა. ბრძოლის ცეცხლში გახვეულ ჩაგრულთ ის ახალ ამოცანებს უყენებს, რადგან თუ სოციალიზმი ნიშნავს ადამიანის დახსნას ბრმა და სტიქიურ ძალთა კლანჭებისაგან, მან, პირველად ყოვლისა, მისი სახელით შექმნილი მონობის რუსული სახეობა უნდა დაანგრიოს.

ვალ.

# წერილი რუსეთიდან

ჩემს პირველ წერილს მიიღებდით; მას შემდეგ მოსკოვში მომიხდა გავლა. აქ წინეთაც ხშირად ვყოფილვარ და გამაკვირა იმ ცვლილებამ, რომელიც ამ უკანასკნელად მომხდარა. წინეთ აქაურ ქუჩებზე ვერ დაინახავდით მხიარულს, მომცინარ სახეს; ყველა მიიჩქაროდა თავის საქმეზე ისე დამუნჯებული და დაღვრემილი, თითქო სახლში მიცვალებული უდევსო. სულ სხვაა ახლა; ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით იმედიან სახეებს, გაიგონებთ სიცილს, თამამ ლაპარაკს და ხშირად დავასაც პოლიტიკურ თემებზე,—ერთი სიტყვით ხალხი გამოსულა სასოწარკვეთილ მდგომარეობიდან. ამ სანახაობით დაინტერესებულმა მალე დავრწმუნდი, რომ ეს დიდი ფსიქოლოგიური გადატეხა მოუხდენია ხალხში არალეგალური სადგურების გაჩენას და არალეგალური ლიტერატურის,—ბროშიურების და ფურცლების,—გავრცელებას. ამ გარემოებას ხალხში გაუღვიძებია რწმენა და იმის იმედი, რომ დღევანდელი ბარბაროსული რეჟიმი და მისი საშინელი ხელისუფლება დიდხანს ვერ იბოგინებენ. ბევრ ჩემ ძველ ნაცნობებიდან გავიგონე იმედით ალსავსე სიტყვები,—როგორც არის ჩვენს საქმეს პატრონი გამოუჩნდაო,—მიმოწმებდენ ისინი. ასეთ პატრონად თვლიან ერთ ფარულ ორგანიზაციას, რომელიც აქ «განმანთავისუფლებელი კავშირის» სახელით არის ცნობილი და რომლის მოწყობილიც არის როგორც ფარული რადიო-სადგურები, აგრეთვე არალეგარული ბროშიურებისა და ფურცლების ბეჭდვა და გავრცელება.

თქვენ ალბად გახსოვთ, რომ ამ ექვსი წლის წინეთ ჩვენ თბილისიდან გაცნობეთ, რომ აქაურ რუსობაში დაარსდა განმათავისუფლებელი კავშირი, რომელმაც განიზრახა ჩვენთან დაკავშირება. მაშინ ჩვენ მათი წინადადება არ მივიღეთ, რადგან პროვოკაციის გვეშინოდა. ახლა კი ცხადია, რომ ეგ კავშირი ყოფილა კარგად მოწყობილი სერიოზული კონსპირატიული ორგანიზაცია და მას მოუხერხებია თავისი მუშაობის გავრცელება საკმაოდ ფართო ასპარეზზე; აქ ჩემმა ძველმა მეგობრებმა გადმომცეს, რომ კავშირს თავისი ორგანიზაციები აქვს მრავალ ქალაქებში და პროვინციებში.

ამ კავშირში შედიან სხვადასხვა რწმენისა და მიმართულების ხალხი, რომელნიც შეთანხმებული არიან სამ ძირითად საკითხზე: 1. არსებულ რეჟიმის დამხობა, 2. გლეხთა კერძო საკუთრების აღდგენა და 3. ყველა დანარჩენი საკითხების მოგვარება-გადაჭრა ხალხის მიერ თავისუფლად არჩეულ წარმომადგენლების საშვალებით. კავშირის ფურცლებში ვერსად შეხვდებით ხსენებას ვერც დამფუძნებელი კრებისა და ვერც სხვა რომელიმე პარტიულ პროგრამის მუხლების. ეს იმით აიხსნება, რომ რუსის ხალხში სავსებით გატეხილი აქვთ სახელი იმ ძველ პარტიებს და დაწესებულებებს, რომლებმაც ვერ გამოიჩინეს უნარი დაემყარებიათ წესრიგი და შეექმნათ ისეთი ხელისუფლება, რომელიც ქვეყანას თავიდან ააცდენდა ველურ ბოლშევიზმს. ძველი პარტიების სახსენებელიც კი არ არის, არ სჩანს არაფერში მათი მუშაობა, ვერ ნახავთ ვერც ერთ ფურცელს მათ მიერ გამოცემულს.

მე ძალიან მაინტერესებდა გამეგო თუ როგორ ფიქრობს ეგ კავშირი ნაციონალურ საკითხის მოგვარებას ამ მრავალ-ერიან ქვეყანაში. ვისაც კი შევეკითხე, თითქმის ყველამ ერთი და იგივე პასუხი მომცა: «დღევანდელ რეჟიმის დანგრევის შემდეგ თვითეულმა ხალხმა უნდა მოახერხოს და შესძლოს თავის ძალღონით მოეწყოს მის დღევანდელ არსებულ სასღვრებში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შემდეგ, მუშაობის პროცესში, შევსძლებთ საერთო ენის გამონახვას და ერთმანეთთან შეთანხმებას ურთიერთის ინტერესების დაცვით».

აქაურ ხელისუფლების უკანასკნელ საქმიანობიდან განსაკუთრებით საყურადღებოა «გეპეუში» მომხდარი ცვლილებები. რუსებს და საერთოდ ადგილობრივ მცხოვრებთ წინანდებურად არ ენდობა ხელისუფლება; ამის შედეგია ის, რომ შეუდგენიათ მრავალი ახალი ნაწილები მონგოლების, ჩინელების და ლატიშელებისაგან. ამ ჟამად კრემლს უმთავრესად ეგ შერეული ნაწილები იცავენ.

საქართველოდან მივიღე მეტად საინტერესო ცნობები; ამ ცნობების მიხედვით ბოლშევიკების მიერ «გაბედნიერებულ» საქართველოში მართლაც, რომ არგაგონილი ამბები ხდება. ქართველი ხალხის ყველა წრის ეკონომიურ და პოლიტიკურ დამონებას ზედ ერთვის ჯერ კიდევ არ არსებული სახის რეპრესიები. ახალი აქ ის არის, რომ გუშინდელი ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტონები, რომლებიც ქართველ ხალხს აწიოკებდენ, დღეს თვით არიან მსხვერპლნი ამ ჯოჯოხეთური საოკუპაციო რეჟიმის. ამ ვაჟბატონებს სისტემატიურათ და მეთოდიურათ ანადგურებენ ყოვლის შემძლე დეგენერატ ბერიას დამქაშები.

ხშირია შემთხვევა, რომ ესა თუ ის კომუნისტი იკარგება უგზო უკვლოთ, ანდა მის გვამს ნახავენ მდინარეში დამხჩვალს ან კიდევ ტყეში ხეზე ჩამოკიდებულს, ანდა სადმე მივარდნილ ადგილს დაკლულს თუ ტყვიით მოკლულს. ასეთი მსხვერპლის ცხედარს ცხადია ყოველთვის ატყვია ძალდატანების და წვალების ნიშნები. ამგვარი სიმხეცე ბუნებრივათ იწვევს ფსიხოლოგიურ ტერორს და პანიკას. ამას გარდა გამუდმივებით ხდება წმენდა ყველა აპარატის, დაწყებული კოლხოზებიდან დაგათავებული ჯარით. ყყელგან აყენებენ ახალგაზდა კომუნისტებს, სრულებით უცნობებს და უვიცებს, მხოლოთ ბერიასა და მისი მცირე ჯგუფის ერთგულთ და საიმედოს.

ამის მიზეზათ ასახელებენ მავნებლობას, ჯაშუშობას, გამცემლობას და სხვას, მხოლოთ მისი ნამდვილი დანიშნულებაა თავიდან მოიშოროს ცოტათ თუ ბევრათ კრიტიკულათ მოაზროვნე და აქტიური ელემენტები. ნიშანში ამოღებულ მსხვერპლს აწერენ ყოველგვარ სახის დანაშაულს, ქექენ მისი ცხოვრების ყველა მხარეებს, იკვლევენ მის შთამომავლობას, მშობლების წარსულს, ბოლოს მოსდებენ რაიმე შარს და მისი წირვაც გამოსულია. ამით საუკეთესო სარბიელი ეძლევა ერთი მეორისადმი შურის ძიებას, კერძო ანგარიშის გასწორებას და ვაი მის დღეს, ვინც ნებსით თუ უნებლიეთ მტერი გაიჩინა ანდა ვისმეს რაიმე აწყენინა. საკმარისია ვინმემ დაგასმინოს ანონიმიური წერილით, რომ მენშევიკი ან მისი თანამგრძნობი იყავი, ანდა როდისმე უკმაყოფილება გამოგითქვამს ხელისუფლების ამა თუ იმ ღონისძიებათა შესახებ, რომ უმალ დაგატუსაღონ და ვინ იცის რა მოგელის. ატმოსფერა ისეა მოწამლული, რომ ვერავის ვერ ენდობი, თავის აზრს ვერ გამოთქვამ და თუ რაიმე წამოგცდა, მწარეთ ინანებ. ბერიას ყური და თვალები ყველგან არის და ის ყველას ელანდება. ადამიანები უბრალო ცხოველის მდგომარეობამდეა დაყვანილი, მათ ენას კლიტე ადევს, ყრუ და მუნჯის მდგომარეობას ბევრი შენატრის.

განსაკუთრებით ეს ითქმის ბოლშევიკებზე. ეს ყოფილი ადამიანები. რომლებიც განუკითხავად ბრძანებლობდენ, ქვეყანას არბევდენ და ქართველ ხალხს ფიზიკურად ჟლეტდენ, ბერიას პიროვნულმა რეჟიმმა სრულ არარაობად აქცია. ეს ვაჟბატონები დღეს თვით გახდენ მსხვერპლნი იმ რეჟიმის, რომლის ქურუმებად ისინი ითვლებოდენ. კვდებიან ლაჩრულად, ხელის გაუნძრევლად, სიტყვის უთქმელად, ბერიას წინაშე მუცლით ხოხავენ და შეწყალებას ითხოვენ. ეს კი იწვევს მათდამი ქართველი ხალხის ზიზღს და ამის გამო არც ყავთ გულშემატკივარნი. საბოლოოდ დამტკიცდა, რომ ბოლშევიკები არასოდეს არ ყოფილან ვაჟკაცები, რევოლიუციონერები და ისინი მხოლოთ რუსის ხიშტების იმედით იყვნენ გულადნი. თუ ამ განწირული ადამიანებიდან ვინმე აქტივობას იჩენს, ეს არა კომუნისტური ზედა ფენებიდან არამედ გლეხობიდან, ესენი ტყეში მაინც გარბიან და დროებით თავს ინახავენ.

რეპრესიები და ხალხის აწიოკება სისტემატიურათ ხდება მთელ საქართველოს ტერიტორიაზე. შარშან, როგორც იცით, დიდი პროცესი ჩატარდა აჭარისტანში. მას მოყვა აფხაზეთი და შემდეგ ოსეთი. წარსულ შემოდგომაზე მოხდა მთელი რიგი სოფლების დაცლა მოსახლეობისაგან ოსმალეთის საზღვრის გასწვრივ,—ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში; დაცლილ სახლებში წითელი არმიელები ჩაასახლეს და საზღვრებზე სიმაგრეები ააგეს. მოსაზღვრე რაიონებში საგანგებო წესებია გამოცხადებული და აქ შესვლა არავის არ შეუძლია, გარდა სანაპირო ჯარის ნაწილებისა. ამ ჯარების ნაწილები იცვლებიან ყოველ სამ თვეში და ამასთან ერთად ხდება მათი შემადგენლობის მუდმივი გადიდება. ეს ჯარები შედგება მხოლოთ რუსული ნაწილებიდან.

ამ სანაპირო სოფლების დაცლა მცხოვრებლებიდან აჭარაში მოხდა ამ გაზაფხულზე და ამან დიდი მღელვარება გამოიწვია. გლეხებს მთელ რიგ სოფლებში უბრძანეს ორი კვირის განმავლობაში დაეცალათ თავისი სახლ-კარი და გადასახლებულიყვნენ უკვე მათთვის ნაჩვენებ რაიონებში. ამასთანვე სახლების ყოველგვარი ავეჯეულობა უნდა დაეტოვებიათ წითელ არმიელთათვის. ამ ღონისძიებათა გასატარებლად გამოწვეული იყო რუსის ჯარის სპეციალური ნაწილები. ბუნებრივია, რომ თავის სარჩო-საბადებელს გლეხები ნებით არ ტოვებდენ და განაწამებ სიცოცხლეს სიკვდილი ამჯობინეს. ხშირი იყო შემთხვევა, რომ მთელი კვირაობით გრძელდებოდა ბრძოლა ამ განწირულ სოფლებში მცხოვრებთა და წითელ არმიელთა შორის. ზემო აჭარაში, მდინარე სხალთას ხეობაში (აჭარის წყალის ერთ-ერთი შტოა) სოფელ ბაყის და მუმედის გამოსახლების დროს. ბრძოლა გაგრძელდა თუთხმეტი დღე. ადგილობრივ მცხოვრებლებს ეხმარებოდენ დევნილები სხვა კუთხეებიდან. ამ ბრძოლაში მოკლულ იქმნა 17 წითელ არმიელი, 3 ქალი, 5 ბავშვი და 7 გლეხი. დაწყებული შავი ზღვიდან (სარფიდან) გათავებული ფოცხოვის რაიონით შავშეთის და არსანის მთის გასწვრივ, მთელ აჭარის სიგრძეზე, ოსმალეთის საზღვარზე დაცლილია თითქმის ყველა სოფლები. ამათში ქვედა აჭარიდან—მარადიდის დიდი ნაწილი და ოლლაური, აგრეთვე მაჭახელას წყლის მარცხენა ნაპირზე მდებარე ყველა სოფლები ზემო აჭარიდან კი: შუბანი, თამაშეთი, წელათი, ქოლოთა, მუმედი, ბაყი, ქიქოძირი, ნაბადური და თხილოვანი.

აჭარაში წინეთაც ბევრი დევნილები იყო საერთო რეპრესიების გამო, რადგანაც არა მარტო ნიშანში ამოღებული პირი ხდებოდა მსხვერპლი ბერიას თვითნებობის, არამედ ყველა მისი ნაცნობები და ნათესავები ვარდებოდენ საფრთხეში და იძულებულნი ხდებოდენ გადამალულიყვნენ. ამათ მიემატა გამოსახლებული სოფლების დევნილები, რომლებიც ტყეში არიან გაჭრილნი მთელი ოჯახებით. ამ უკანასკნელათ გამოაცხადეს, რომ ვინც დევნილებიდან

თავისი ნებით ჩაბარდება მთავრობას, ისინი მიმაგრებული იქნებიან შიდა აჭარაში ამა თუ იმ კოლხოზზე, მაგრამ ამ ღონისძიებამაც ვერ გასჭრა და ხალხი კვლავ განაგრძობს ტყეში ცხოვრებას. დევნილები ტანისამოსის და იარაღის საშოვნელად თავს ესხმიან წითელ არმიელებს და მილიციონერებს. ამ ნიადაგზე ამ რაიონებში ყოველ კვირაში კლავენ 10—15-მდე არმიელს თუ მილიციონერს (დამახასიათებელია, რომ აჭარაში მილიციაში არიან უცხო ელემენტები და არა აჭარლები). მაისის შუა რიცხვებში ხულოდან ბათუმში მოჰყავდათ 30-მდე ტუსაღი აჭარელი. მათ გზაში დაუხვდენ დევნილები და გაანთავისუფლეს. სროლის დროს მოკლულ იქმნა 3 ტუსაღი და 7 მილიციონერი.

აღსანიშნავია ისიც, რომ შარშანდელი პროცესის შემდეგ აჭარაში ფეხი ვერ მოიკიდა და ვერ ჩამოყალიბდა ადგილობრივი ხელისუფლება. ამ პროცესის შემდეგ მდგომარეობა ერთობ ნერვიულ ი და გამწვავებულია. ამ წლის დასაწყისიდან დღემდე სამჯერ მოხდა მთავრობის შეცვლა, უკეთ მისი გადახალისება. საპასუხისმგებლო თანამდებობა უჭირავთ მოვალეობათა დროებით აღმსრულებელს; მათ მიჩნეული ყავთ სპეციალური პირები, რომლებსაც ბერიას თვალს უწოდებენ. აჭარისტანი ამ პირების თვითნებობის და თარეშის ასპარეზია დღეს და მთელი მოსახლეობა აუწერელ შევიწროებას განიცდის.

ამ საერთო არევ დარევას ზედ ერთვის სურსათსანოვაგის ნაკლებობა აჭარის ყველა სოფლებში; თესლის უქონლობის გამო წელს ბევრი ყანები დაუთესავი დარჩა. ამას ხელი შეუწყო მუშახელის ნაკლებობამაც. მშრომელი ელემენტების უმრავლესობა ან დაჭერილია ან და ტყეთ არის გაჭრილი. ვინც სახლშია, იმასაც არ აქვს გული მუშაობაზე, რადგან არ იცის ხვალ რა მოელის. ამას დაუმატეთ პერიოდულათ იძულებით სამუშაოზე გაყვანა სიმაგრეთა და გზების გასაყვანათ, და თქვენთვის ნათელი გახდება განაწამები ხალხის ჯოჯოხეთური მდგომარეობა. კომუნისტის სახელს ვერავის გააგონებ. კომუმუნისტურ პარტიას დღეს არავინ ეტანება და მისი გაგონება თვით კომუნისტებსაც შიშის ზარს გვრის.

ოსმალეთის მოსაზღვრე მთებზე აკრძალულია საქონლის გარეკა; მოსახლეობას უფლება არ აქვს ამ რაიონებში ჩვეულებისამებრ ზაფხული მთაში გაატაროს (იალაღებზე). როგორც იცით, საზამთროთ ოსმალეთიდან ბევრი საქონელი მოყავთ საბალახოთ ქობულეთის და ნატანების რაიონში თანახმათ ოსმალეთთან დადებული ხელშეკრულობისა. ამ გაზაფხულზე კი საბჭოთა ხელისუფლებამ ნება არ დართო მწყემსებს, რომ თავისი საქონელით ოსმალეთში დაბრუნებულიყო. ამ ნიადაგზე დიდ აურზაურს ქონდა ადგილი ოსმალეთსა და საბჭოებს შორის; დიპლომატიური ჩარევის შემდეგ, როგორც იყო, მათ დართეს ნება უკან დაბრუნების, მხოლოთ მომავალში ეს წესი გაუქმებულია და საბჭოები ოსმალეთიდან საქონელს აღარ მიიღებენ. საქართველოდან კი უკვე დიდი ხანია, რაც არ გადადის საქონელი არდაგანის მთებზე.

მეტად დამახასიათებელი ამბები ხდება ჭიათურაში. კომუნისტურმა ხელისუფლებამ დაკარგა ყოველგვარი წონასწორობა. მას ეშინია არა მარტო ცოცხლების, არამედ მკვდრებისაც და ამ უკანასკნელთა წინააღმდეგ იღებს რეპრესიულ ზომებს. დაიწყეს ბოლშევიკების საფლავებით; თხრიან მიწიდან დიდი ხნის გადაცვალებულ ბოლშევიკების ნაშთებს და ყრიან მივარდნილ ადგილებში. ამ გიჟურ საქციელს გიჟური მოტივებით ასაბუთებენ: «ეს კომუნისტი ახლა რომ ცოცხალი იყოს, უთუოდ ტროცკისტი, მავნებელი და გამცემი იქნებოდა, ამიტომ ღირსი არ არის თვალსაჩინო ადგილას განისვენებდეს მოსვენებითო».

ჭიათურის მუშათა კლუბის ეზოში დასაფლავებული იყვნენ ძმები ალექსანდრე და კოწია ვაშაძეები; ადგილობრივ ხელისუფლებას დაუბარებია მათი მესამე ძმა კიმოთე და უბრძანებია: «ამოთხარე ძმების ნეშთი და სხვაგან გადაიტანეო». ჭიათურაში დაუჭერიათ თითქმის ყველა ძველი ბოლშევიკები, მათ შორის ა. ს. ვაშაძე, ჭაბუკი მიშველიძე, შ. ლეჟავა, სეფე ჭეიშვილი და სხვები. შუა მაისში დაუტუსაღებიათ ცნობილი ბოლშევიკი გალაქტიონ ვაშაძე, რომელიც თავმჯდომარეობდა დამკომის გასამართლების პროცესს; მისი გამოტეხა ნდომებიათ რომელიღაც დანაშაულში და ამ მიზნით იმდენი უცემიათ და უწამებიათ, რომ გადაცვლილა კიდეც.

№.

## წერილი ჩეხოსლოვაკიიდან

(სოც.-დემოკრატიული პარტიის იუბილე)

გასულ ივნისის პირველ რიცხვებში (4-6) პრაღაში გადახდილ იქნა ჩეხოსლოვაკიის სოც.-დემ. პარტიის 60 წლის თავი დღიდგან ამ პარტიის დაარსებისა.—1878 წლის 7 აპრილს პრაღის მივარდნილ განაპირა ადგილის ბნელ დუქანში (წმიდა მარგარიტის სახელობის მონასტრის გვერდით რომ არის ეხლაც) შეიყარნენ არალეგალურათ 15 თავდადებულნი ახალგაზდანი, დელეგატი მუშები და სტუდენტები (22-32 წლის), დაამტკიცეს პირველი სოციალდემოკრატიული პროგრამა და მისი საორგანიზაციო წესდება. ამ კრების (წმიდა მარგარიტის ყრილობის სახელწოდებით რომ შევიდა ისტორიაში) ხელმძღვანელი და მისი სულის ჩამდგმელი იყო მუშა იოსებ პეცკა, შესანიშნავი ჟურნალისტი, ნიჭიერი ორატორი, ბრწყინვალე ორგანიზატორი და ყოველ მხრივ მომზადებული, 29 წლის ახალგაზდა.

სულ მოკლე ხანში აღმოჩენილ იქნა პოლიციის მიერ ყრილობის ყველა მონაწილენი და სასამართლოს მიერ დასჯილნი სხვადასხვა ვადით ციხეში ჯდომით. ცნობილია, რომ იმ დროს გერმანიის და ავსტრიის იმპერიებში სოციალისტების დევნა იყო დღის წესრიგში და ჩეხი ამხანაგებიც ეზიდებოდნენ იმ დროინდელ სოციალდემოკრატიულ ჯვარს. ამ პირველი ყრილობის შემდეგ კი იწყება მათთვის ხანა არა ჩვეულებრივად სასტიკი და ულმობელი: ჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიის სოციალდემოკრატიას წყევლა-კრულვით ხვდება მთელი იმ დროინდელი ჩეხური პატრიოტული და ბურჟუაზიული საზოგადოება და მის წინაალმდეგ სასტიკ რეპრესიებს მიმართავს ავსტრიის მთავრობა, რომელიც პირწმინდათ ბაძავს ბისმარკის პოლიტიკას სოციალდემოკრატიის წინაალმდეგ იმ დროინდელ გერმანიაში. მიუხედავათ ამისა ჩეხოსლოვაკიის სოც. დემ მუშათა მოძრაობა იზრდება, ის შეიქმნის სრულიად დამოუკიდებელ პოზიციას ავსტრიის სოციალდემოკრატიის შიგნით, როგორც პოლიტიკურ, ისე პროფესიონალურ და კოოპერატიულ სარბიელზე. სისტემატიურათ და თავდადებით იბრძვის ჩეხის მუშის საარსებო და ეკონომიური დონის ასაწევად. ირყევა თანდათან იმპერიის ფეოდალური და კაპიტალისტური პრივილეგიები, 1897 წელს ჩვენ პირველად ვხედავთ მუშების წარმომადგენელს ავსტრიის პარლამენტში. ჩეხი სოც. დემოკ. დეპუტატები დაუყონებლივ გამოდიან ერთა თვით გამორკვევის მოთხოვნილებით. 1905-7 წწ. გაიმართა უდიდესი ბრძოლა ავსტრიაში საყოველთაო და პირდაპირი არჩევნების მოსაპოვებლად. ბრძოლა დამთავრდა სრული გამარჯვებით და ჩეხიის სოციალდემოკრატია ხდება უძლიერესი პარტია მთელ ერში.

მსოფლიო ომის დაწყებისთანვე ის ამოუდგა გვერდში ნაციონალური განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურს პროფესორ თომა მასარიკს და დააყენა თავისი წევრები როგორც შინ, ისე უცხოეთში (ლეგიების სახით) ეროვნული რევოლიუციის სამსახურში. ისტორიული ფაქტია, რომ უამისოთ ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო არ აღსდგებოდა და არც რესპუბლიკა იქნებოდა. მისი კონსტიტუცია არის პირმშო სოციალდემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელების და მეთაურების.

თავის კულმინაციურ პუნქტს პოლიტიკურათ ეს პარტია აღწევს 1920 წ. (მთავრობაში არის უმრავლესობა სოც. დემ. მინისტრების პრემიერით), როცა კომუნისტური გათიშვა მას აყენებს დიდ ზიანს, ასუსტებს მის ორგანიზაციებს და არყევს მის პოლიტიკურ პოზიციას სახელმწიფოში. დღეს კი ის წარმოადგენს თავისი სიძლიერით და გავლენით მეორე პოლიტიკურ პარტიას (პირველი არის აგრარული პარტია), ნათელი პერსპექტივებით, დიდი მორალური და კულტურული პოტენციით, ბერკეტი დემოკრატიის შინ და დიდი გავლენით საგარეო პოლიტიკაზე. მისი სოციალიზმი არის უაღრესათ კონსტრუქტიული, მოკლებული ყოველნაირ ფანტაზიას და უცხო ექსპერიმენტების მიბაძვას. მისი პრაქტიკული იდეალია გახდეს ხელ-ახლა პირველი პარტია და იკისროს პირველი როლი სახელმწიფოს გაძღოლის საქმეში.

და სწორედ სამართლიანად უძღვნა მან ეხლახან სამი დღე მოგონებებს თავისი სამოცი წლის პოლიტიკური არსებობის, გადახდილი ბრძოლების, გადატანილი გაჭივრების მოპოებული გამარჯვების და დიდი შესრულებული დადებითი საქმის მუშათა კლასის და ერის სასარგებლოდ.

შრომის ტრიუმფალური მანიფესტაცია—ასე მონათლა ყველა მოწინავე სერიოზულმა გაზეთებმა სოციალდემოკრატ მუშების საზეიმო გავლა პრაღის ქუჩებზე კვირას 5 ივნისს. მართლაც, ამ დღეს, იშვიათ მზიან ივნისის დღეს, თითქო განგებ გამოდარებულს ხანგრძლივი წვიმების შემდეგ, პრაღის ქუჩებში გაიარა 150 ათასმა სოც.-დემოკ. მშრომელმა, სერიოზული და თავის თავისადმი ნდობით აღჭურვილი გამომეტყველებით. რამოდენიმე ასი ათასი მოქალაქე გამწკივრებულნი ქუჩების ორივე მხარეებზე ესალმებოდნენ შრომის წარმომადგენლებს სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხიდგან თავი რომ მოიყარეს დედა-ქალაქში, პრაღაში.

ეს იყო ამავე დროს იშვიათი მხატვრული სანახაობა, რომლის სიდიადეს მოწმობს ხუთი ათასი მომქმედი სხვადასხვა ჯგუფი ხუთი ათასი ხელმძღვანელი და მომწესრიგებელით. სცენიურ მხარეს ამ დღესასწაულისას მე თქვენ ვერ აგიწერთ, არა მარტო უადგილობის გამო, არამედ იმიტომაც რომ ის ეკუთვნის კალამს მხატვრული კრიტიკის. ეს ყოველ მხრივ მდიდარი, შინაარსიანი და მრავალფეროვანი ფილმი, ოთხი საათის განმავლობაში რომ მიმდინარეობდა ჩვენ თვალწინ, იყო სავსე მომხიბვლელი ალეგორიებით, ფოლკლორით, ფერადებით და აუარებელი დეტალებით. არაფერი ამის მზგავსი პრაღაში ჯერ ჩვენ არ გვინახავს, სწერდნენ ერთხმად თავის საგაზეთო ანგარიშებში რეპორტიორები. არაფერი ამისთანა მშვენიერი ჩვენს სამშობლოში არ გვინახავს, აცხადებდნენ სოციალისტური პარტიების წარმომადგენელნი სხვადასხვა ქვეყნებიდან (ინგლისელი, ბელგიელი და სხ.). ქვეყნის დღევანდელი მძიმე საერთაშორისო მდგომარეობა გახდა მიზეზი რომ ეს მანიფესტაცია ყველაზე უწინ ხაზს უსვამდა ერთგულებას და მზად ყოფნას თავის დასადებათ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის და რესპუბლიკანური რეჟიმის დასაცავად. ნიშნათ ამისა მონაწილენი გამოუკლებლივ, როგორც ჯარის კაცები, მიმართავდნენ საპატიო ტრიბუნაზე მთელი ლი ამ ხნის განმავლობაში მდგომს რესპუბლიკის პრეზიდენტ ბენეშს ძახილით: რესპუბლიკას არავის დავანებებთ, გაუმარჯოს პრეზიდენტ ბენეშს; მასარიკის შვილები ვართ ბენეშის ჯარის კაცები—ვკითხულობდით ჩვენ ლოზუნგებთა შორის. ცენტრალური ლოზუნგი კი იყო: მუშები რესპუბლიკას, რესპუბლიკა მუშებს. ეს შეფიცვა, მზად ყოფნა სამშობლოს დასაცავად ოცი წლის თავზე მისი განთავისუფლებისა—იყო ძღვენი რომელიც მას სოციალდემოკრატიამ მიართვა.—«სოციალდემოკრატიამ მიგვარა მასა რესპუბლიკის პრეზიდენტს, რესპუბლიკას, დემოკრატიას, რესპუბლიკანურ ჯარს, ეს პარტია არის საიმედო და სერიოზული დასაყრდნობი სახელმწიფოსთვის და ჩვენ ყველანი მადლობას უნდა ვეუბნებოდეთ მას ამისთვის», სწერდა დიდათ გავლენიანი დემოკრატიული უპარტიო გაზეთი («ლიდოვე ნოვინი»). ჩვენ ამაზე დასამატებელი არაფერი გვაქვს სოც.-დემ. პარტიის დახასიათებისათვის ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოებრივ და საზოგადო ცხოვრებაში.

იუბილეს დაესწრო დიდძალი უცხოელი ამხანა-

გები, წარმოგზავნილი სოციალისტური ინტერნაციონალის სხვადასხვა სექციებიდგან, ყველაზე მეტად კი ინგლისელი ლაბურისტები.

იუბილეზე მიწვეული იყო თქვენი კორესპონდენტი და საქართველოს ს.-დ. პარტიის წარმომადგენელი ამხ. ე. ლომთათიძე. ის მიწვეული იყო სპეციალური ბარათით აგრეთვე საპატიო ტრიბუნაზე, სადაც იმყოფებოდნენ რესპუბლიკის პრეზიდენტი, მთავრობის წევრები და უცხო დელეგატები.

პარტიის ცენტრალურმა ორგანომ «პრავო ლიდუ» მ მოათავსა მოლოცვა საქართველოს ს.-დ. პარტიის და საერთოთ ქართველი ამხანაგების სახელით გაგზავნილი ამხ. კ. გვარჯალაძის და ე. ლომთათიძეს მიერ.

ემ. ლ—ძე.

## ოტო ბაუერი

გასულ 4 ივლისს, დილით პარიზში გარდაიცვალა ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ლიდერი და ხელმძღვანელი ოტო ბაუერი. ის დაიბადა 1881 წლ. სექტემბერში, ასე რომ ჯერ კიდევ 57 წლისაც არ იყო.

ბაუერი სულ ახალგაზდობიდანვე იჩენდა დიდ ნიჭს და შრომის მოყვარეობას. 24 წლის ახალგაზდამ დასწერა მისი ცნობილი წიგნი «ეროვნული საკითხი და სოციალდემოკრატია». ეს კიდევ სტუდენტობის დროს ათავსებდა წერილებს კარლ კაუცკის «Neue Zeit» ში.

ვიქტორ ადლერმა ბაუერს თავიდანვე მიაქცია ყურადღება და თავის ახლო თანამშრომელათ გაიხადა. 1907 წელს ბაუერი ავსტრიის საპარლამენტო სოციალდემოკრატიული ფრაქციის მდივანია. ამავე ხანებში ის ხდება პარტიის ყოველდღიურ გაზეთის «Arbeiter Zeitung» ს და თვიურ ჟურნალის «Kampf»-ის სარედაქციო კოლეგიის წევრი და მუდმივი თანამშრომელი.

დიდი ომის წინ ბაუერი უკვე ცნობილი პიროვნებაა სოც. ინტერნაციონალში.

ომის დროს მას ჯარში იწვევენ და ერთი თვის შემდეგ ის რუსებს ტყვეთ უვარდება. ამ ტყვეობის დროს დასწერა მან თავისი ფილოსოფიური შრომა «მარქსიზმის მსოფლმხედველობა».

1917 წელს ბაუერი ბრუნდება ავსტრიაში და ხდება ავსტრიის სოციალდემოკრატიის მემარცხენე ფრთის ლიდერი და გაზეთ «Arbeiter Zeitung»-ის მთავარი რედაქტორი.

1918 წელში ავსტრო-უნგრეთის რევოლიუციის შემდეგ ადლერი საგარეო საქმეთა მინისტრია და მასთან მისი უწყების საქმეების გამგეთ ოტო ბაუერია. ვიქტორ ადლერის სიკვდილის შემდეგ კი 1918 წლის ნოემბერში საგარეო საქმეთა მინისტრათ ბაუერი ინიშნება და რჩება ამ პოსტზე, სანამ სენჟერმენის ხელშეკრულება დაიდებოდა 1919 წლის ივლისში. ამ ხნიდან მან მთავრობაში მონაწილეობას თავი გაანება და მხოლოთ პარტიულ მუშაობას აწარმოებდა. 1919 წლიდან 1934 წლამდე ის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი და ხელმძღვანელი იყო.

1934 წლის ვენის პროლეტარიატის აჯანყებაში ბაუერმა აქტიური მონაწილეობა მიიღო და იული დოიტჩან ერთად მას მეთაურობდა. აჯანყების დამარცხების შემდეგ ის საცხოვრებლათ ჩეხოსლოვაკიაში გადავიდა და ამ უკანასკნელ დრომდე იქ იმყოფებოდა, იქ აგრძელებდა «Arbeiter Zeitung» ის და «Kampf»-ის გამოცემას და იქიდანვე ქონდა კავშირი თავის პარტიასთან. გასულ მაისიდან ის იძულებული შეიქნა ჩეხოსლოვაკია მიეტოვებინა და პარიზში გადმოსახლებულიყო. აქაც აგრძელებდა ის ჟურნალ «Lampf» ის გამოცემას.

ბაუერს არ გაუმართლდა ილიუზიები, რომ რუსეთში ბოლშევიკური რეჟიმი თანდათანობით დემოკრატიულ ფორმას მიიღებდა და რუსეთში ცხოვრება ნორმალურ პირობებში ჩადგებოდა. მოსკოვის პროცესებს ის სასტიკათ აკრიტიკებდა და ამხელდა, რომ რუსეთში დღეს არის არა პროლეტარიატის, არამედ მხოლოდ ერთი პირის დიქტატურა; ასეთი რამ რუსეთსაც ხრამში გადააგდებს და რუსეთის რევოლიუციის პრესტიჟსაც საერთაშორისო მასშტაბით ასამარებსო.

ბაუერის ახლო მეგობრების გადმოცემით მასზე დიდ გავლენას ახდენდა ის, რომ ბაუერი მოშორებული იყო თავის ხალხს, თავის მშობლიურ მხარეს, სადაც მას ათეული წლები უმუშავნია. ეს იყო უთუოდ ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი მისი ასე უდროოთ გარდაცვალებისათ.

## ემიგრანტული პრესა

«ბრ. ხმის» მეორე ნომერში გაზ. «საქართველოს» ზოგიერთ გამოსვლებს უტაქტო ვუწოდეთ. ამას ისე გაუბრაზებია «საქართველოს» ხელმძღვანელთა ოჯახი, რომ «ტვინზედაც» კი ალაპარაკდა და მით კიდევ ზედმეტად დაამტკიცა ჩვენი ნათქვამი. ამ დალოცვილის შვილთ დღემდე ისიც კი არ სცოდნიათ, რომ თავჩა მომხრჩვალის ოჯახში ბაწარზე არ ლაპარაკობენ.

* * *

«კავკაზი» და მისი ტყუპი «კავკასია» არ სცხრებიან. ყოველ წერილში და ყოველ ფეხის გადადგმაზე იმის მტკიცებაში არიან, რომ «მენშევიკური» პარტია დაიშალა, მოისპო, არ არსებობს და იმავე დროს მთელ თავის ენერგიას ამ დაშლილ და არ არსებულ პარტიის წინაამდეგ ბრძოლაში ხარჯავენ და ისიც ბრძოლის საშვალებების განურჩევლად. ერთ ასეთ საშვალებად ხმარობენ ჩვენი ნათქვამის და დაწერილის გადამახინჯებას. ჩვენ მკითხველებს ვაცნობეთ, რომ ნ. ჟორდანია ბიუროს თავმჯდომარეობიდან გადადგა; «კავკაზმა» ეს გადაათავისებურა ბიუროდან და პარტიიდან გასვლათ. ახლა ამოუგლეჯია ერთი პატარა ადგილი ჩვენი გაზეთის წინა ნომრის მეთაურიდან და, მისი ტერმინი რომ ვიხმაროთ, «ცინიკურად» ამახინჯებს მის აზრს. მეთაურში სწერია: «ჩვენი ქვეყნიდან მტრის განდევნის მიზნით ქართულ ჯგუფთა და პარტიათა შორის უთან-

ხმოებანი დროებით გადადებულ უნდა იქნას». «კავკაზი» ვერ იკავებს თავს თავის ჩვეულებისაგან და სიტყვას «უთანხმოებანი» ს (რუსულად «რაზნოგლასია» ს) ადგილას სვამს «ვრაჟდა» ას (ქართულათ «მტრობა»). გააკეთა რა ეს ოპერაცია, ბრძნულად დაასკვნის: ამნაირად, ის კი არა, რომ საბოლაოდ უკუგდებულ იქმნას, ის კი არა, რომ სამუდამოდ ბოლო მოეღოს მტრობას და შევქმნათ («სოზდატ») ერთობლივი, «ჯგუფებად» და «პარტიებად» დაუნაწილებელი ქართველი ერი, არამედ დროებით გადადება ამ მტრობის, ხოლო შემდეგ, როდესაც, ქართული ანდაზის თქმით, ჩვენი ხბო ხელახლავ დაიჭერს მგელს, მენშევიკები აჩვინებენ ყველა ამ «ნაციონალისტებს» «კუზკინის დედას».

გოგოლის ერთ ნეტარხსენებულ გმირის აზრით მთვარეს ჰამბურგში აკეთებენ. «ბამატის ხიზნებს» კი წარმოუდგენიათ, რომ ჯერ არსად ნახული ჯგუფებათ და პარტიებათ დაუნაწილებელი ერი კეთდება იმ «კავკაზის» ფურცლებზე, რომელიც საქართველოს მიწა-წყალს მარცხნივ და მარჯვნივ არიგებს.

## ბიბლიოგრაფია

### საინტერესო წიგნი.

გამოვიდა ს. გოგიბერიძის მოგონებები შემდეგი სათაურით «ბრძოლა სამშობლოსათვის». როგორც სათაური მოწმობს, ავტორის მოგონებები შეეხება იმ განმათავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დაიწყო მოსკოვის წითელ ჯარების მიერ მისი დაპყრობის პირველ დღიდანვე. ავტორს აღებული აქვს საქართველოს ერთი ნაწილი,—სახელდობრ გურია,—და აგვიწერს განმათავისუფლებელ მოძრაობის ყველა ეტაპებს 1924 წლის აჯანყების დასრულებამდე.

მშვენიერი ენით დაწერილ და მოხდენილად დალაგებული ნაშრომი გვიშლის მოძრაობის მთლიან სურათს,—გვაცნობს მეტად საინტერესო ეპიზოდებს, აგვიწერს კერძო პირების როლს და მოძრაობის მასიურ ხასიათს. განსაკუთრებულ ინტერესს სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს.

ხელმძღვანელს,—იქნება იგი ერთი პიროვნება, თუ კოლექტივი,—რა დიდი ნიჭითა და უნარით არ უნდა ჸყოს აღჭურვილი, გასაქანი არ ექნება თუ მას შესაფერისად გაწრთვნილი მასა არ უმაგრებს ზურგს. ამ მხრივ გურია განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს; მის მოსახლეობას პოლიტიკური მომზადებით და დისციპლინით ყოველთვის პირველი ადგილი ეკავა. აჯანყებისათვის სამზადისის ხანაში და თვით აჯანყების დღეებშიც გურიამ სავსებით გაამართლა ის წარმოდგენა, რომელიც ჩვენ მასზე გვქონდა. ყველანი ერთად და თვითეული ცალკე იჩენს განსაცვიფრებელ სიმწიფეს და დისციპლინას, საზღაპრო გამძლეობას გასაჭირში და გმირულ თავგანწირვას. 16-17 წლის მოწაფეებიც კი გმირულად ხვდებიან ბოლშევიკურ მორიელის ისარს და მოწამებრივის სიმტკიცით გადააქვთ ყოველგვარი წამება. მოწაფე მსხალაძე ვერ გატეხა ჩეკის წამებამ და ვერ გააცემია ორგანიზაცია; ახალგაზდა ჭკუასელთან ერთად დაატუსაღეს მთელი მისი ოჯახი, აწამეს თვითონ, მისი თვალის წინ აწამეს მისი მოხუცი მშობლები, ძმა და გასათხოვარი დები, მაგრამ იგი იდგა «როგორც ურყევი კლდე», მას ვერ დაასახელებიეს ის პირი, ვისთანაც კავშირი ქონდა. მსხალაძე და ჭკუასელი გამონაკლისს არ შეადგენენ; ისინი არიან ცოცხალი განსახიერება გმირულად განწყობილ მასისა, რომელიც პატრიოტული შეგნებით არის გამსჭვალული და სამშობლოსათვის თავის დადება უპირველეს მოვალეობად მიაჩნია.

ჩვენ არ გვაქვს საშვალება ამ ორიოდე სტრიქონში დავახასიათოდ და სისრულით დავაფასოთ ს. გოგიბერიძის საინტერესო მოგონებები. ვისაც უნდა სწორი წარმოდგენა ქონდეს გურიის მასიურ მოძრაობაზე, მას დაბეჯითებით ვურჩევთ ეს წიგნი წაიკითხოს. მისი წაკითხვა არ იქნება უნაყოფოთ დროს დაკარგვა.

(დასასრულ ერთი პატარა შენიშვნა. ავტორი წიგნის დასაწყისში იმ აზრს გამოთქვამს, «რომ ის მასალა, რაც საქართველოში მოიპოვებოდა ხალხისა თუ იარაღის მხრივ თავის დროზე დაგროვებულიყო ერთ მტკიცე სამხედრო ორგანიზაციაში, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, თვალები არ დაგვეხუჭა და დაგვენახა აშკარა მზადება რუსეთისა ჩვენზე დასაცემათ და ერი სულიერად მოგვემზადებია ამ ომისათვის, იმ ძალას, რომელიც ჩვენ თავზე დაგვესხა, ჩვენ ჩვენს დამოუკიდებლობას არ გავატანდით». ამ სახით გამოთქმულ ამ აზრს შეუძლია საქმეში ჩაუხედავ ადამიანს შემცდარი დასკვნა გააკეთებიოს. საქართველოს დამოუკიდებლობა სულ ორ წელიწადნახევარს გრძელრებოდა და ამ ხნის განმავლობაში გამუდმებით ებრძოდა შინაურ თუ გარეშე მტრებს. ასეთ მოკლე ხნის განმავლობაში და მუდმივ ბრძოლების პროცესში ვერავითარი ძალა ვერ შეძლებდა ყველაფრის გაკეთებას და ყველაფრის მოგვარებას. რაც შეეხება «თვალების დახუჭვას» და სხვა, ეგ მართალიც არ არის. საქართველო და მისი მაშინდელი ხელმძღვანელობა კარგად ხედავდა ბოლშევიკურ საფრთხეს და საამისო სამზადისიც არ დაუკლია, მაგრამ ჩვენგან დამოუკიდებელ მრავალ მიზეზების გამო შეუძლებელი იყო იმ უამრავ დაბრკოლებათა გადალახვა, რომელნიც წინ გველობებოდენ.

ი.

გამოვიდა და იყიდება

პრ. ექ. თაყაიშვილის მეტად ძვირფასი შრომა «არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში»; წიგნი შეიცავს 440 გვერდს და ღირს 100 ფრანკი.

რედაქციისაგან.

«ბრძოლის ხმის» შემდეგი № გამოვა ოქტომბერში.

Leuville-sur-Orge. — *Imprimerie de Leuvill*

Le Gérant : René Toussaint.